კვირეული ჟურნალი „ვერსია“ იბეჭდება

ვერსია

№46 (1588) 15-21 დეკემბერი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

სად არის და რატომ არ ჩანს გიორგი გახარია

რა განმარტებებს აკეთებენ ექსპრემიერის პარტიაში

წინ, ნატოსკენ ანუ რატომ სჯობს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი რუსეთს

რატომ ეწინააღმდეგება კრემლი საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვას

უკრაინის კრიზისი – ისაუბრეს თუ არა დახურულ შეხვედრაზე პუტინმა და ბაიდენმა საქართველოზეც

მამუკა გამყრელიძე: „ისეთ რამეს ვიტყვი, რაც ბევრს არ მოეწონება“

რატომ დატოვა საქართველო თეოლოგმა გიორგი ტიგინაშვილმა

„ბევრჯერ სცადეს ჩემი გადაბირება, მოსყიდვა და გაჩუმება“

ბურუსით მოცული სერიული მკვლელობის ანატომია

როგორ იძია შური შვილმოკლულმა დედამ მკვლელებზე

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

სად არის და რატომ არ ჩანს გიორგი გახარია

რა განმარტებებს აკეთებენ ექსპრემიერის პარტიაში

ნინიტა ონიანი

ქვეყანაში დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე, ექსპრემიერი გიორგი გახარია არ ჩანს. სად არის „ქართული ოცნებიდან“ წასული ყოფილი პრემიერი, რომელმაც რამდენიმე თვის წინ ახალი პოლიტიკური პარტია „საქართველოსთვის“ დააფუძნა? გახარიას პოლიტიკურ კულისებში გადანაცვლება განსაკუთრებულად მოულოდნელი იმ ფონზე აღმოჩნდა, როცა მის მიერ ახალი პარტიის შექმნას საზოგადოების ნაწილი დიდი ინტერესით ელოდა. ამ მოლოდინს ისიც ამძაფრებდა, რომ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ახლადშექმნილი პარტია მესამე ადგილზე გავიდა... „ვერსია“ გახარიას თანაგუნდელსა და პარლამენტის დეპუტატ ანა ბუჩუკურს ესაუბრა.

– ქალბატონო ანა, სად არის და რატომ არ ჩანს გიორგი გახარია?

– გიორგი გახარია საქართველოშია, კარგადაა და აქტიურად მუშაობს, როგორც რეგიონებში, ასევე ოფისში. პარტია მაისში დავაფუძნეთ და მალევე გადავედით საარჩევნო კამპანიაზე. მივუყვებით ჩვენს გეგმებს, მათ შორის, პარტიული გაფართოებისა და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით და ვაგრძელებთ პარტიის გაძლიერებას.

რაც შეეხება გიორგი გახარიას საჯარო კომუნიკაციას, ბუნებრივია, საზოგადოება აუცილებლად იხილავს, თუმცა როგორც გითხარით, რეგიონებში ხშირად დადის და შესაბამისად, ხშირი კომუნიკაცია აქვს მოსახლეობასთან.

– რა პოზიცია აქვს თქვენს გუნდს მიხეილ სააკაშვილის დაკავებაზე?

– სააკაშვილთან დაკავშირებით, მოვლენები ორი ნაწილისგან შედგება – ერთი ის, რომ როგორც ნებისმიერი პატიმრის, მიხეილ სააკაშვილის უფლებები, რა თქმა უნდა, სრულად უნდა იყოს დაცული, მათ შორის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის თვალსაზრისით. ვინაიდან სამართლებრივ სახელმწიფოში ცხოვრება გვსურს, არ აქვს მნიშვნელობა, პატიმარი მოგვწონს თუ არა და ვინ არის.

მეორე – ის ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ფიგურაა. სააკაშვილის მიმართ ძალაში უკვე შესულია სასამართლოს ორი გადაწყვეტილება, რომლებიდანაც ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე, გირგვლიანის საქმეში მისი წვლილია, რაც შეწყალებაში გამოიხატა. ერთ-ერთი მტკიცებულება ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაა, სადაც ძალიან ცხადადაა წარმოჩენილი მაშინდელი პრეზიდენტის როლი შეწყალების ნაწილში. შესაბამისად, საზოგადოების დიდი ნაწილის მოლოდინი, რომ სააკაშვილის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები აღსრულდეს, ძალიან დიდია. მეც ვფიქრობ, მის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილებები უნდა აღსრულდეს, მაგრამ ისე, რომ კითხვის ნიშნები არ გაჩნდეს. რა თქმა უნდა, ამაზე პასუხისმგებლობა ყოველთვის ეკისრება ხელისუფლებას. გახსოვთ, დაკავებიდან ძალიან მალე, პრემიერი გამოვიდა და განაცხადა, თუ კარგად არ მოიქცევა, დავუმატებთო, მაგრამ ეს ასე არ ხდება სამართლებრივ სახელმწიფოში, მიმუმ, არასერიოზულია – ფაქტობრივად, პირდაპირ დაცვის მხარეს აძლევს მათთვის სასარგებლო განცხადებებს.

დიახ, სასამართლო გადაწყვეტილებები უნდა აღსრულდეს და ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთოს, რომ კითხვის ნიშნები არ გაჩნდეს ამ გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით. გარდა იმისა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას აქვს რეაგირების ფუნქცია დანაშაულზე, პრევენციული ფუნქციაც გააჩნია. ამ შემთხვევაში, ბატონი სააკაშვილის შემთხვევა ყველა ხელისუფლებისთვის, როგორც დღევანდელისთვის, ასევე შემდეგისთვის სამაგალითოა – პოლიტიკოსობა თუ თანამდებობის პირობა, ამ ქვეყანაში ინდულგენცია არ არის და არც უნდა იყოს, დანაშაულის ჩამდენმა პასუხი უნდა აგოს!

შეიძლება, გალი ქართველებისგან დაიცალოს?!

ექსკლუზიური ინტერვიუ გალში მცხოვრებ ქართველ პედაგოგთან

მარიამ ელიავა

მიმდინარე სასწავლო წლიდან, გალში ქართული ენის სწავლება აიკრძალა და ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფებიან, სწავლა რუსულ ენაზე უწევთ. რა ვითარებაა გალის განათლების სისტემაში და როგორ აფასებენ ადგილობრივები ამ საგანგაშო გადაწყვეტილებას – „ვერსია“ გალის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელს ესაუბრა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა, გასაგები მიზეზების გამო, არ ისურვა. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს პედაგოგთან, ოკუპირებული აფხაზეთიდან:

– რამდენი ხანია, განათლების სფეროში ხართ?

– ეს სპეციალობა ბავშვობიდანვე ჩემი ოცნება იყო და 17 წელია, ამ სფეროში ვარ. ამ ნაბიჯის გადადგმა ბავშვების სიყვარულმა გადამაწყვეტინა. როდესაც საქართველოში ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო – უშუქობასა და უგაზობას ვგულისხმობ, სწორედ მაშინ მომიწია სტუდენტობა. მიყვარდა ბავშვებთან ურთიერთობა, მოტივატორი კი ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო, რომლიც მე-4-დან მე-11 კლასამდე მასწავლიდა და ჩემთვის დღემდე მისაბაძი ადამიანია. ამიტომ მინდოდა, მეც მასავით სანიმუშო ვყოფილიყავი.

– როგორც პედაგოგი, როგორ აფასებთ განათლების სისტემას გალის რაიონის სკოლებში?

– ეს საკმაოდ რთული თემაა, რადგან გვიწევს, ვუპასუხოთ გალის რაიონის სკოლებში განათლების განყოფილების გამოწვევებსა თუ სიახლეებს. დღემდე ვინარჩუნებთ ქართველობას, რთულია ამ თემაზე საუბარი და, რა თქმა უნდა, საქართველოს განათლების რესურს-ცენტრთანაც გვაქვს კავშირი. მოკლედ, ჯერჯერობით, ვუძლებთ და სხვა გზა არ არის. ძალიან რთულია, მაგრამ ვცდილობთ, თავი გავიტანოთ და შევანარჩუნებინოთ ჩვენს ბავშვებს ის ქართველობა, რომლისთვისაც დღემდე ვიბრძვით.

– ალბათ, მოსწავლეებისთვის რთულია, ყველა საგანის რუსულად სწავლა...

– დიახ, ეს უამრავ სირთულესთანაა დაკავშირებული, ჩვენი ბავშები არ არიან რუსულ გარემოში და ნამდვილად უჭირთ, მაგრამ დღევანდელი თაობა შედარებით მარტივად ითვისებს ახალს და ეგუება. პედაგოგებსაც, ძირითადად, ქართულად გვაქვს განათლება მიღებული, აქედან გამომდინარე, ჩვენც გვიჭირს, მაგრამ შეძლებისდაგვარად სწავლობენ, თან სხვა გზაც რომ არ გაქვს, ეს უნდა შეძლო.

– კოვიდპანდემიის ფონზე, როდესაც სწავლა ონლაინ-რეჟიმზე გადავიდა, გალის რაიონის სკოლის მასწავლებლებსა თუ მოსწავლეებს ინტერნეტსა და ტექნოლოგიებთან წვდომა არ გიჭირთ?

– ეს ძალიან რთულია და საკმაოდ მძიმე პერიოდი გავიარეთ, რადგან ბავშვებს არ აქვთ წვდომა ინტერნეტთან იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა. პირადად მე, როგორც პედაგოგმა, გავიარე ტრენინგები გარკვეული პლატფორმებით, ძალიან დაგვეხმარა ქართული მხარე. იმისთვის, რომ მასწავლებელი მზად იყოს მოსწავლეების სამსახურში ყოფნისთვის, ისინიც უნდა მოემზადონ, იქნება ეს ტექნოლოგიები, თუ ინტერნეტთან წვდომა. ვატარებდი ონლაინ-გაკვეთილებს, მაგრამ ეს არ იყო ის გაკვეთილები, რაც სკოლაში, მერხთან ტარდებოდა. არ ვფიქრობ, რომ ეს იყო სრულფასოვანი, მით უმეტეს ჩვენთან, არ გვქონდა ამის შესაძლებლობა.

– ძირითადად, რა სახის პრობლემებს აწყდებიან სკოლები გალში? მოსწავლეები არიან თუ არა მათთვის საჭირო ყველა წიგნითა და კონკრეტული ნივთით აღჭურვილნი?

– არა. 17 წელია, ვასწავლი და ამ დროის განმავლობაში, ეს პრობლემა სულ იყო და ახლაცაა იმიტომ, რომ სახელმძღვანელოები არის რუსულად. დღემდეა მათი ნაკლებობა და ასლებს ვიღებთ ხოლმე. როცა ქართული მხარე გვიგზავნის რაღაც ნივთებს, ესეც პრობლემაა, რადგან აქ არის ე.წ. საზღვარი და თან წიგნების გადმოტანა ძალიან დიდ საფრთხესთანაა დაკავშირებული. ვერ ვახერხებთ მათ მიღებას, გვიჭირს საკმაოდ.

– როგორც ვიცი, ახალი სასწავლო წლიდან, გალის რაიონის სკოლის მოსწავლეები ქართულად აღარ სწავლობენ. როგორ ფიქრობთ, ეს რამ გამოიწვია და რა შედეგამდე შეიძლება მივიდეს ადგილობრივი ქართველი მოსწავლეებისთვის მშობლიური ენის შესწავლის გაუქმება?

– ეს საკმაოდ რთული და მტკივნეული საკითხია და თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, დაიცლება გალის რაიონი. იმ სკოლებს, რომლებიც დღემდე ინარჩუნებდნენ ქართული ენის გაკვეთილებს, ნელ-ნელა წაართვეს ამის უფლება. ჯერ პირველი კლასიდან ამოიღეს ქართულის გაკვეთილები, შემდეგ წელს – მეორე კლასიდან, შემდეგ – მესამედან და თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, კატასტროფულ შედეგამდე მივალთ.

– ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის გაკვეთილებს არც აქამდე ეთმობოდა დიდი დრო. შეიძლება ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება მოსალოდნელიც იყო?

– დიახ, თავიდანვე ჩანდა, რომ აქეთ მიდიოდა ყველაფერი. წლიდან წლამდე, კლასებში აუქმებდნენ ქართული ენის გაკვეთილებს და ბოლო წლებში, ვარაუდის დონეზე, ამაზე განსაკუთრებით საუბრობდნენ.

– რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას ქართული მხრიდან, რომ ეს პრობლემა გადაწყდეს?

– ნეტავ, თუ გადაწყდება ოდესმე... ოპტიმისტი ვარ, მუდამ კარგი მომავლის იმედი მაქვს და ამ იმედით მოვედი დღემდე. ვცდილობ, ჩემი მოსწავლეებიც ასე აღვზარდო. სახლში ვიბარებ და ვსაუბრობთ, ვსწავლობთ, მაგრამ ეს უკვე შორს წასული ამბავია. ღმერთმა ქნას, რომ გვეშველოს, თუმცა უკვე უიმედოდ ვარ...

– მოსწავლეებს პროტესტისა და უკმაყოფილების გრძნობა აქვთ?

– დაწყებითი კლასის მოსწავლეები ვერ ხვდებიან და ვერ აანალიზებენ, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს ეს ამბავი, მაგრამ უფროსკლასელები ძალიან განიცდიან და ფიქრობენ, სად და როგორ ჩააბარონ, როგორი იქნება მათი მომავალი. ჩვენი იმედი აქვთ და მუდმივად გვეკითხებიან.

– ბოლოს, აბიტურიენტებზე გკითხავთ – აგრძელებენ თუ არა სწავლას აფხაზეთის უმაღლეს სასწავლებელში?

– ძალიან იშვითია მსგავსი შემთხვევა. ყველა ჩვენი აბიტურიენტი უპირატესობას ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს ანიჭებს, ჩემთან დადიან კიდეც მალულად ბავშვები, სამეცადინოდ, ასევე, სხვა საგნის მასწავლებლებთანაც. სწორედ ამ გზით ვინარჩუნებთ ჩვენს ურთიერთობას, ასე რთულად და მტკივნეულად.

წინ, ნატოსკენ ანუ რატომ სჯობს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი რუსეთს



ნინო დოლიძე

ერთი, ორი ან სამი კი არა, ლამის, სამი ათეული წელია, საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ ისწრაფვის, მაგრამ დღემდე, ნატო კარს არ გვიღებს. რატომ? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემას არაერთი არგუმენტი სჭირდება. ამიტომ, მოდით, დღეს იმაზე ვისაუბროთ, თუ რას მოგვცემს და რატომ არის საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებისთვის ბრძოლა ასეთი მნიშვნელოვანი? ისე, პოლიტიკაში ყველაზე გაუთვითცნობიერებელმაც იცის, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თავისი წევრების უსაფრთხოებაზე ზრუნავს. საფრთხე კი დიდ პოლიტიკაში უამრავია. ამ მხრივ, განსაკუთრებით საქართველოა გამორჩეული – ფაქტია, რომ ამ წილხვედრისთვის ერთმანეთს პლანეტის ორი ისეთი უძლიერესი სახელმწიფო ებრძვის, როგორებიც რუსეთი და აშშ არიან.

მართალია, საბჭოთა კავშირი „უხსოვარ დროს“ დაიშალა, მაგრამ გარდა იმისა, რომ რუსეთის პრეზიდენტი, ესე იგი, პუტინი წითელი იმპერიის დანგრევას დიდ გეოპოლიტიკურ შეცდომად მიიჩნევს და იმდროინდელი რუსული საზღვრების აღდგენას ლამობს, საქართველოშიც, გადაშენებული დინოზავრებივით, შემორჩენილები არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ „დიდი რუსეთის ერთ ძმურ კავშირს“ კი არა, სტალინსაც მისტირიან და გაიძახიან, ისევ რუსეთთან რომ ვიყოთ, არც სოციალური პრობლემები გვექნებოდა და არც – ტერიტორიულიო.

არადა, თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ, ტერიტორიული პრობლემები, სწორედ კრემლის გამო გვაქვს.

არ გჯერათ? – მაშინ, აი, ინებეთ ფაქტები: აფხაზეთის ომის შემდეგ, ოფიციალურმა მოსკოვმა, როგორც იტყვიან, კუთხეში მიგვიმწყვდია და ცხონებული შევარდნაძეც იძულებული გახდა, საქართველოს „ეს ენ გე“-ში გაწევრიანებაზე დასთანხმებოდა.

სხვათა შორის, ამ პერიპეტიების დროს, თანამედროვე ქართული პოეზიის მეფემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, რომელსაც ფუნაგორიები ეხერხებოდა, მოსწრებულად იხუმრა:

„შეხვალთ? – დედა გეტირებათ,
არ შეხვალთ და დედ-მამა“.

მოკლედ, შევედით „ეს ენ გე“-ში (ქართულად, დსთ) და დედა, მართლაც, გვეტირა – ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გალზე კონტროლი სწორედ ამ რუსულ გაერთიანებაში შესვლის შემდეგ დავკარგეთ და, სხვათა შორის, აგვისტოს ომის დროსაც, დსთ-ს წევრები ვიყავით, მაგრამ რად გინდათ? – რუსეთმა ჯარი მაინც შემოგვისია და საქართველოს ოკუპაცია კიდევ ერთხელ განახორციელა.

რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ნატო-ს წევრები რომ ვყოფილიყავით?

პასუხი ძალიან მარტივია: წესდებით, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი ვალდებულია, რომ თავისი ნებისმიერი წევრის ტერიტორიული მთლიანობა და უსაფრთხოება დაიცვას. აქედან გამომდინარე, 2008-ში, ნატო-ს წევრები რომ ვყოფილიყავით, რუსეთი იმას ვერ გაბედავდა, რაც გაბედა.

ეს რუსეთმაც კარგად იცის. ამიტომაც იგიჟებს თავს და არ უნდა, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდეს. არადა, ნატო-ში გაწევრიანებას ხმას საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს, რაც 2008 წლის გაზაფხულზე ჩატარებული რეფერენდუმითაც დადასტურდა.

ამის მიუხედავად, ქართველი კრემლისტები „ვენებს იხსნიან“, ხალხს ნატო-ში კი არა, რუსეთში უნდა, რუსი ტანიებითა და მოსკოვში 37-მანეთიანი ფრენებითო.

ამასთან, იგივე, ქართველი კრემლისტები ცრუ ცნობებსაც ავრცელებენ, თითქოს ნატო მონსტრია და როგორც კი ამ ორგანიზაციაში შევალთ, ქართველობას დავკარგავთ.

ზოგადად, ქართველობის დაკარგვაზე ხმის დაყრა ძალიან სასაცილოა. ყველაფერს თავი დავანებოთ და ძალიან მატერიალურად ვთქვათ: ქართველობა ნივთი არ არის, რომ ვინმემ წაგვართვას და გაგვტაცოს. ამიტომ, საინტერესოა, ქართველი კრემლისტები „ქართველობის წართმევაში“ რას გულისხმობენ?

ამასაც თავი რომ დავანებოთ, ვინმეს თუ ჰგონია, რომ ნატო-ს წევრ ქვეყნებს ან ისტორია არ აქვთ, ან ტრადიციები, ძალიან ცდებიან.

დიახ, ქალბატონებო და ბატონებო, ნატო-ს მოკავშირეებსაც საკუთარი სამშობლო ზუსტად ისე უყვართ, როგორც თითოეულ ჩვენგანს. ამასთან, საკუთარ ისტორიას და ტრადიციებსაც პატივს ზუსტად ისევე სცემენ, როგორც – ჩვენ.

ჰოდა, ეს „ქართველობას გვართმევენ“ ჩვეულებრივი, რუსული ნარატივია და მეტი არაფერი, თან ისეთი ნარატივი, რომელიც საზოგადოებაზე აღარ მუშაობს!

ის, რომ რუსეთს ჩვენი დახმარება კი არა, გადაყლაპვა უნდა, აგვისტოს ომის მერეც გამოჩნდა ანუ ყველამ ვიცით, რომ საქართველოს მთავრობას რუსეთთან მოლაპარაკების საკითხის სპეცწარმომადგენელი ჰყავს. ზურაბ აბაშიძე, რა თქმა უნდა, მაღალი კლასის დიპლომატია, მაგრამ თავის რუს კოლეგასთან, კარასინთან დიპლომატის ენა, როგორც ჩანს, არ ჭრის, რაც გასაკვირიც არ არის – ოფიციალურმა მოსკოვმა ხომ მხოლოდ იარაღის ენა იცის.

ისე, ბოლო დროს კრემლი ღიად ამბობს, რომ ნატო-ში მხოლოდ საქართველო კი არა, უკრაინა და მოლდოვაც არ უნდა გაწევრიანდნენ. ეს განცხადება ახლაა საჯაროდ თქმული, თორემ რამდენიმე წლის წინაც, პუტინის ადმინისტრაცია ამ პოლიტიკას ატარებდა, რასაც ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 2007 წლის ნოემბრის მოვლენებიც ცხადჰყოფს ანუ მაშინ რეალური შანსი არსებობდა, რომ საქართველოს ნატო-სთან დასაახლოებლად ერთი ნაბიჯით წინ წაეწია და მაპი მიეღო, მაგრამ სისხლიანმა 7 ნოემბერმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

რა თქმა უნდა, მაშინდელი ხელისუფლება დამნაშავეა, რომ საკუთარი მოქალაქეების სისხლი დაღვარა, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს და ეს მეორე მხარე ის გახლავთ, რომ გარკვეულმა ძალებმა შექმნილი ვითარება სათავისოდ გამოიყენეს და მაპიც დავკარგეთ.

სხვათა შორის, ამ თემაზე ვრცელი კომენტარი, რამდენიმე კვირის წინ, ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ სასამართლო პროცესზე გააკეთა და თქვა:

„საქართველო მიდიოდა ნატოსკენ. 2006-ში, პუტინმა მითხრა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა ეს პროცესი შეაჩეროს. იმ წელს, ბელორუსის პრეზიდენტმა, ლუკაშენკომ მითხრა, ვინ არის ეს არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი, ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე, ჩემთან უნდა ჩამოსვლაო და ითხოვს ნებართვას, შემხვდესო. მე ვუთხარი, როგორც გინდა, ჰქენი-თქო, მაგრამ არაფერი სარფიანი მაგ საქმიდან არ გამოვა, ნუ, არ მიიღო. მერე პატარკაციშვილი მაინც ჩადის მინსკში და მერე მიყვება ლუკაშენკო: დამირეკა პუტინმაო და მითხრაო, „ბიჭები მოვლენ და დაელაპარაკებიან პატარკაციშვილს, შენთვის არ არის აუცილებელი მათთან შეხვედრა“. „ეფ ეს ბე“-ს სამი გენერალი ჩავიდა, ეს არის ლუკაშენკოს ნათქვამი, პატარკაციშვილს წინასწარ შეხვდნენ და პუტინმა გამოუცხადა, რომ ეს არის საქართველოს შემდეგი პრეზიდენტი. ეს ხდება 2007 წლის სექტემბერში.

ამის შემდეგ იწყება კამპანია, რომ უნდა იყოს დიდი გამოსვლები, პატარკაციშვილის მიერ ორგანიზებული და დაფინანსებული. პატარკაციშვილის ფული იყო მთლიანად რუსული ფული. სუს-ში უნდა ინახებოდეს ამერიკის ფედერალური გამოძიების ბიუროს წერილი, რომელიც მათ მოგვწერეს 2007 წლის შემოდგომაზე, დაახლოებით, ოქტომბერში, სადაც გვითხრეს, რომ ჩამოსულები იყვნენ ერევანში კანონიერი ქურდები – უსოიანი და რამდენიმე ქართველი კანონიერი ქურდი, რომელთა ფუნქცია იყო არეულობის ორგანიზება საქართველოს დედაქალაქში. ეს არის „ეფ ბი აი“-ს გამაფრთხილებელი წერილი. 2007 წლის ოქტომბერში, თბილისში გაიმართა ისტორიული კონფერენცია. ჩამოვიდა ნატო-ს გენერალური მდივანი, ჩამოვიდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები, ამერიკის ელჩი ნატო-ში და სახელმწიფო მდივნის მოადგილე. კონფერენცია, რომელიც გრძელდებოდა რამდენიმე დღე, გაშუქდა ძალიან ფართოდ... პრაქტიკულად, გადაწყდა საქართველოსთვის მაპ-ის მიღება. ისინი წავიდნენ საოცარი შთაბეჭდილებებით, რა მაგარი ქვეყანაა. წავიდნენ, თუ არ ვცდები, 30 ოქტომბერს, 2 ნოემბერს მოხდა ეს დიდი გამოსვლა, დემონსტრაცია თბილისში.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ყველა ადამიანი, ვინც ქუჩაში გამოვიდა, ან რუსეთი დაკრულზე ცეკვავდა, ან იცოდა პატარკაციშვილის გეგმების შესახებ. ეს იყო რთული პერიოდი იმ გაგებით, რომ ჩვენ ჩავატარეთ ძალიან მტკივნეული რეფორმები, რამდენიმე ათეული ათასი პოლიციელი, მაგალითად, დარჩა უმუშევარი. ძალიან ბევრი ადამიანი ვერ აეწყო ახალ რელსებზე. ინფლაცია მაგ დროისთვის იყო არა ისეთი დიდი, როგორც ახლა, მაგრამ იყო საკმაოდ მაღალი. მართალია, ეკონომიკური განვითარება იყო უფრო დიდი, ვიდრე ახლა, მაგრამ შემოსავალი ვიღაცას ჰქონდა უფრო მაღალი, ვიღაცა კი – გაღარიბდა. ამიტომ, ხალხს ჰქონდა ობიექტური მიზეზი, რომ ჩვენზე ყოფილიყო გაბრაზებული. ამიტომ, მართლაც იყო დიდი მიტინგი, ჩვენ ეს მივიღეთ, როგორც სიგნალი. ამ მიტინგზე მოვიდა პატარკაციშვილი, წარმოსთქვა სიტყვა და ამით ყველაფერი ნათელი იყო, რისთის და როგორ ეწყობოდა ეს“.

გასაგებია, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ, ამ ქვეყანაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს, მაგრამ „ვერსია“ 2007 წლის ნოემბერშივე წერდა, რომ ყველაფერი ის, რაც მაშინ ქუჩაში ხდებოდა, რუსულ ინტერესებზე ასხამდა წყალს.

ერთი სიტყვით, რუსეთი დღესაც იმისთვის იბრძვის, რომ საქართველოზე გავლენა შეინარჩუნოს. ჩვენი მიზანი კი, რა თქმა უნდა, ურყევია – წინ, ნატოსკენ!

რატომ დატოვა საქართველო თეოლოგმა გიორგი ტიგინაშვილმა

თათია გოჩაძე
598-43-50-34

თეოლოგმა გიორგი ტიგინაშვილმა, რომელსაც საზოგადოება საკმაოდ სკანდალური შეფასებებითა და საპატრიარქოს მიმართ მწვავე, კრიტიკული განცხადებებით იცნობს, ცოტა ხნის წინ საქართველო დატოვა. ოჯახთან ერთად ემიგრაციაში, კერძოდ, საფრანგეთში გაემგზავრა. რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება და რა გახდა სამშობლოს დატოვების მიზეზი? – „ვერსია“ გიორგი ტიგინაშვილს პარიზში დაუკავშირდა.

„ბევრჯერ სცადეს ჩემი გადაბირება, მოსყიდვა და გაჩუმება“

– გიორგი, ყოველთვის გამოირჩევით ღია, სკანდალური და მკვეთრი განცხადებებით, ძირითადად, საპატრიარქოს მიმართ, რაც საზოგადოების ნაწილისთვის ტაბუდადებული თემაა... რატომ გადაწყვიტეთ საქართველოდან გამგზავრება?

– არაერთი მიზეზი დაგროვდა, რომ აღნიშნული უმძიმესი გადაწყვეტილება მიმეღო. ჩემს ცხოვრებაში საკითხი ასე არასოდეს დამისვამს – დამეტოვებინა სამშობლო და სხვა ქვეყანაში წამეყვანა ჩემი ოჯახი, სადაც ბსოლუტურად სუფთა ფურცლიდან დავიწყებდი ახალ ცხოვრებას. არ ვნანობ ჩემს შემოქმედებით საქმიანობას, რომელმაც შესაძლოა, ჩემივე პრინციპების, ღირებულებებისა და პატიოსნების, პროფესიული არჩევანის გამო შემიქმნა პრობლემები, მათ შორის, სოციალური, მატერიალური, სამსახურეობრივი. ამავე დროს, უსაფრთხოების თვალსაზრისითაც გავხდი თავდასხმის ობიექტი და გამომდინარე იქიდან, რომ მიწევდა საკმაოდ მკვეთრი და მწვავე განცხადებების გაკეთება, თავს მესხმოდნენ, მემუქრებოდნენ, მუდმივი დამცირებისა და შეურაცხყოფის სამიზნე ვიყავი, რაც აისახებოდა ჩემი ოჯახის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე – გვქონდა სტრესი, მუდმივი პრობლემა საარსებო მინიმუმისაც კი. მატერიალურად გაუსაძლის პირობებში მიწევდა ყოფნა მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მეგობარი, ნათესავი და ოჯახის წევრი მეხმარებოდა და ხელს მიწვდიდა, მაინც, რა თქმა უნდა, ეს მოქმედებდა ჩემს მორალურ პასუხისმგებობაზე, რადგან ორი შვილის მამა ვარ, მყავს მეუღლე და ეს დამთრგუნველია და ვერ გაგრძელდებოდა უსასრულოდ. სულიერად მიმძიმდა ამ ტოტალური უსამართლობის ატანა.

საბოლოოდ, ე.წ. კრებსებმა, რომელიც ფაილების სახით გავრცელდა, კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ჩემი დევნა, შევიწროება და განადგურება სახელმწიფო უწყებებსაც სურდათ. იქ არაერთი ფაქტი იყო მოხმობილი, როგორ ახორციელებდნენ უკანონო მოსმენას, მიყურადებას და, მათ შორის, გეგმავდნენ სხვადასხვა ადგილას ჩემს განეიტრალებას (ვციტირებ), ცემას და განადგურებას. ამიტომ ამან უფრო გამიმძაფრა სამშობლოს დატოვების სურვილი, რადგან ყველაზე პირველი, ადამიანისთვის მაინც უსაფრთხოებაა, მით უფრო, როცა მხოლოდ საკუთარ თავზე არ ვიყავი დამოკიდებული და ოჯახურ პასუხისმგებლობას ვაცნობიერებდი. ავუხსენი ეს ჩემი ოჯახის წევრებს, მათ იცოდნენ ჩემი ბეგრაუნდი, ჩემი პრინციპები, იცოდნენ, რომ არ დავთმობდი იმ პრინციპებს, რასაც შევეჭიდე ადრეული ასაკიდან, ამიტომ ვალდებული ვიყავი, საბოლოოდ, ეს ნაბიჯი გადამედგა, რასაც არ ვნანობ მიუხედავად იმისა, რომ მარტივი არ იყო, რადგან სამშობლოში დავტოვე დედა, და და არაერთი მეგობარი, ბევრი ტკბილი მოგონება, რომელიც ნოსტალგიის სახით, ახლაც მაწუხებს და მოუსვენრობას მძენს, თუმცა სინდისთან სიმშვიდის საფუძველი მაქვს, ღვთის მადლით, გამომდინარე იქიდან, რომ რასაც კი ვემსახურებოდი, ეს იყო უანგარო. მე არ ვიყავი ანგაჟირებული, პოლიტიკურად მოტივირებული, არ მივეკუთვნებოდი არც ერთ პარტიას, „ენჯეოს“, ვიყავი თავისუფალი მოქალაქე და ყველაზე დიდი მონაპოვარი, თუ რამე მაბადია ცხოვრებაში, არის თავისუფლების ხარისხი, ჩემივე ფშავური ხასიათიდან გამომდინარე. ამიტომ, ამას ვერაფერზე ვერ გავცვლიდი, ვერანაირ კომფორტზე, მატერიალურ დაინტერესებაზე და ეს ე.წ. კრებსებშიც ნათლად გამოჩნდა, რომ ბევრჯერ სცადეს ჩემი გადაბირება, მოსყიდვა, გაჩუმება, მაგრამ ვერ მონახეს ვერც ზნეობრივი და ვერც სამართლებრივი საფუძველი, რომ გავეჩუმებინე. დარჩენილი იყო მხოლოდ ძალადობრივი გზა, რომელსაც გავერიდე, რადგან სიცოცხლე ყველაზე დიდი საბოძვარია ღვთისა.

– თქვენი ეს განცხადება, შესაძლოა, შემაშფოთებელი იყოს სხვებისთვის... მატერიალური სიდუხჭირე იმან განაპირობა, რომ ვერ საქმდებოდით საქართველოში, რადგან თქვენი განცხადებები ამ ქვეყანაში, ზოგისთვის უსიამოვნო იყო?

– დიახ. როცა ვსაუბრობ, თუ ვისთვის იყო არასასურველი, ვგულისხმობ კონიუნქტურას, რეჟიმს და სისტემას, რომელიც ჩამოაყალიბა ხელისუფლებამ და იყო უნისონში საქართველოს საპატრიარქოსთან. ამავე დროს, დავინახე ამ ნიადაგზე რუსიფიკაციისა და ქართული იდენტობის სრული ასიმილაციის მაღალი მოლოდინი და ამ ფონზე, ჩემი ხასიათის გათვალისწინებით, საარსებო პირობები აღარ მქონდა. სახელმწიფო უწყებებში კი არა, კერძო სექტორშიც კი ვერ ვახერხებდი დასაქმებას და მიწევდა პერიოდულად რეპეტიტორობა კერძო მასწავლებლად.

– რას ასწავლიდით?

– ისტორიას... ვისაც ჰქონდა სურვილი, რომ სასულიერო განათლება მიეღო, თეოლოგიის სხვადასხვა დარგებსა და დისციპლინებს ვასწავლიდი. მანამდეც მქონდა პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება ზოგიერთ კერძო სკოლაში, მათ შორის, საპატრიარქოსთან ასოცირებულ სასწავლებლებშიც იქამდე, სანამ მათთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა, რადგან არ ვიცოდი, რომ იქ ასეთი უზნეობა, ამორალობა და განუკითხაობა იყო. როცა დავინახე, რომ ჩემს ღირებულებებთან შეუთავსებელი იყო იქ ყოფნა და ბავშვობიდან მეწადა სასულიერო პირობა, მღვდლობას ვაპირებდი მთელი ცხოვრება და მინდა, გითხრათ, რომ ეს სურვილი არც ახლა გამნელებია... მაგრამ ვერ დავინახე მიმზიდველობა იმ სისტემაში, რომელიც ჩამოაყალიბა ილია მეორემ საქართველოს ეკლესიაში, რომელიც არის იმთავითვე კოლაბორაციონალისტური, მოღალატური, „კაგებეშნიკური“ და საბოლოო ჯამში, ანტიმართლმადიდებლური. ეს არის პროფანირებული ქრისტიანობა, რომელიც უბრალოდ, ოფიციოზში ვლინდება, რომ ეს არის ეკლესია, ხოლო ყველა კრიტერიუმით, პარამეტრითა და სტანდარტით, საქართველოს საპატრიარქო აბსოლუტურ აცდენაშია მართლმადიდებლურ ტრადიციასთან, გამოცდილებასთან და ისტორიული სამართალმდემკვიდრეობის ღირსებასთან.

– გასაგებია... რატომ გააკეთეთ არჩევანი საფრანგეთზე?

– იმიტომ, რომ საფრანგეთში, პროცედურულად, ჩაბარების საკითხი ბევრად მარტივია, უკეთესი ბენეფიტებია. ამავე დროს, მოვითხოვე ბინადრობისა და სწავლის გაგრძელების უფლება, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ინტელექტუალური და შემოქმედებითი საქმიანობა, რომ მომეცეს ამ თავლსაზრისით განვითარების შესაძლებლობა, რადგან საქართველოში ამ კუთხითაც პრობლემებს მიქმნიდნენ. ამიტომ, თანდათან გავდივარ ყველა იურიდიულ საფეხურს, რომელიც აქ პროცედურულად აუცილებელია და ეს დროში საკმაოდ ხანგრძლივი და ბიუროკრატიული პროცესია, მაგრამ გვაქვს საფუძველი დამაიმედებელი, რადგან მოგეხსენებათ, რომ ჩემზე არაერთხელ განხორციელდა თავდასხმა. სამი სისხლის სამართლებრივი საქმე იყო აღძრული და რა თქმა უნდა, თითოეული მათგანი დარჩა გამოუძიებელი. არ გამოვლინდნენ დამნაშავეები, ჩემზე თავდამსხმელები, მომადგა უზარმაზარი ზიანი ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მორალური ზიანი, მქონდა დაუცველობის განცდა, მით უფრო ჩემს ოჯახს... ამიტომ, მაქვს ყველა იურიდიული საბუთი, რომ ეს ნაბიჯი გადამედგა. დაზარალებულად მცნო საქართველოს პროკურატურამ, რადგან ისინი ვერ აუვიდოდნენ იმ ფაქტებს, რომლებიც მოცემული იყო საქმეში და შესაბამისად, ყოველგვარი გამჭვირვალობითა და ღიაობით ჩამოვედი, გავიარე საიმიგრაციო სამსახურში პროცედურები, მოვითხოვე თავშესაფარი რელიგიურ ნიადაგზე.

ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ნაბიჯი გადავდგი იძულებით, რადგან ვიმეორებ, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩემი ენერგია, ცოდნა და სამოქალაქო მსოფლშეგნება თუ წესიერება მომეხმარებინა ჩემი სამშობლოსთვის, საზოგადოების რელიგიური ცნობიერების ამაღლებისთვის და საქართველოში, თუნდაც პოპულაციის გამრავლებისთვის, ამის პირობები რომ მქონოდა, მაგრამ, საუბედუროდ, ამ ეტაპზე, ამის შესაძლებლობა არ მომეცა.

– სამუდამოდ აპირებთ საფრანგეთში დარჩენას, ან რა უნდა მოხდეს, რომ საქართველოში დაბრუნდეთ?

– არ მაქვს პროვინციული აღტყინება, რომ აი, ჩამოვედი საფრანგეთში და... რა თქმა უნდა, დამხვდა ბევრად უკეთესი სერვისები, პლურალიზმი, მულტიკულტურალიზმი, სადაც გამოხატვის თავისუფლება, საკუთრების, სიტყვის, სიცოცხლის უფლება დაცულია. დამხვდა ცხოვრების უფრო მაღალი დონე, არაჩვეულებრივი ინსფრასტრუქტურა, არქიტექტურა, ფერწერა, რომელიც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და მიმზიდველია. ამავე დროს, საუნივერსიტეტო გარემო, მაგრამ ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, წარმავალი და დროებითია იმ თვალსაზრისით, რომ აქ ყოველთვის სტუმრად ვიგრძნობ თავს და მექნება იმის განცდა, რომ, იქნებ, სამშობლოში ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალოს, რათა ღირდეს დაბრუნება, მაგრამ რეალურად, თუ აქ დავრჩი 5-10 წლის მანძილზე და ჩემი შვილები აქ სასწავლებელში შევლენ და რა თქმა უნდა, შვილების მომავლის პერსპექტივაზე ზრუნვითაც ჩამოვედი, შესაძლოა, შემდგომში ეს გაჭირდეს. უბრალოდ, აქ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩვენი ღირებული ტრადიციები და ქართული იდენტობა შევუნარჩუნო ჩემს შვილებს, ჩემივე მაგალითით. სხვა შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მოგვიწევს ფრანგულ ყაიდაზე გადასვლა, საფრანგეთის კონსტიტუციის, კულტურის გაცნობა, მასთან ინტეგრაცია და ამაში ვერაფერს ვხედავ მოღალატეობრივს ან საძრახისს.

– წარმატებას გისურვებთ და იმედია, დარჩებით მედიისთვის საინტერესო რესპონდენტად, მიუხედავად იმისა, რომ აქ არ იცხოვრებთ...

– რა თქმა უნდა, არ მინდა, ჩემი აქ წამოსვლა ვინმემ მიიჩნიოს უკანდახევად, კომფორმიზმად ან გაჩუმებად, არც ერთ შემთხვევაში. უბრალოდ, ადამიანისთვის როცა პირველადი ამოცანაა ფიზიკური გადარჩენა, გვიწევს ასეთი რადიკალური ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ ეს ისე არ უნდა გაიგოს ჩემმა ძვირფასმა საზოგადოებამ და გულშემატკივრებმა, რომ დავთმე ჩემი პრინციპები ან შევიცვალე კურსი და აღარ ვაპირებ იმ გამოწვევებთან, დაბრკოლებებთან და არაჯანსაღ ვითარებასთან შეგუებას, რომელიც დაამკვიდრეს საქართველოს საპატრიარქოს მავნებელმა წარმომადგენლებმა. პირიქით, აქ უფრო მეტ ინტელექტუალურ კაპიტალს დავაგროვებ იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტად კვალიფიციურად წარმოვაჩინო საქართველოს ეკლესიაში სამომავლოდ აუცილებლად განსახორციელებელი რეფორმები და დარღვევები, რომელიც ამ თვალსაზრისით ეკლესიაში არსებობს. ვადევნებ თვალყურს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს და ვაპირებ, გავუკეთო კომენტარი ყველაფერს პირუთვნელად, როგორც ამას ვაკეთებდი მთელი ჩემი საქმიანობის მანძილზე, ღვთის შეწევნით.

უკრაინის კრიზისი – ისაუბრეს თუ არა დახურულ შეხვედრაზე პუტინმა და ბაიდენმა საქართველოზეც

მამუკა გამყრელიძე: „ისეთ რამეს ვიტყვი, რაც ბევრს არ მოეწონება“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

7 დეკემბერს, აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის ონლაინ შეხვედრა გაიმართა. მოგვიანებით გავრცელებული განცხადების თანახმად, ჯო ბაიდენმა ვლადიმერ პუტინს უთხრა, რომ აშშ „ღრმად არის შეშფოთებული“ უკრაინის მახლობლად, რუსეთის ჯარების თავმოყრით და პირობა დადო, ვაშინგტონი და მისი მოკავშირეები, „ძლიერი ეკონომიკური და სხვა სახის ზომებით უპასუხებენ შესაძლო სამხედრო ესკალაციას“. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ბაიდენმა პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა, ეს აშშ-ისა და რუსეთის ლიდერების მესამე პირდაპირი მოლაპარაკებები იყო. შეხვედრის შემდეგ გაირკვა, რომ ვაშინგტონის მიზანია, არ დაუშვას უკრაინაში რუსეთის შეჭრა. კრემლი კი ცდილობს, გარანტიები მოიპოვოს, რომ უკრაინა არასდროს გახდება ნატო-ს წევრი. პუტინმა არაერთხელ უწოდა ნატო-ს გაფართოებას, ან უკრაინაში შეტევითი რაკეტების განთავსებას „წითელი ხაზი“. ბაიდენმა კი განაცხადა, რომ ის „არავის წითელ ხაზს“ არ შეეგუება.

„პრეზიდენტმა ბაიდენმა აშშ-ისა და ჩვენი ევროპელი მოკავშირეების ღრმა შეშფოთება გამოხატა უკრაინის გარშემო რუსეთის ჯარების ესკალაციის გამო და მკაფიოდ განაცხადა, რომ აშშ და ჩვენი მოკავშირეები ძლიერი ეკონომიკური და სხვა სახის ზომებით უპასუხებენ შესაძლო სამხედრო ესკალაციას... პრეზიდენტმა ბაიდენმა კვლავ გაიმეორა, რომ მხარს უჭერს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და გამოვიდა დეესკალაციისა და დიპლომატიასთან დაბრუნების მოწოდებით“, – ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში.

მოვლენების როგორ განვითარებას უნდა ველოდოთ ბაიდენისა და პუტინის ამ მნიშვნელოვანი შეხვედრის შემდეგ და რა საფრთხის წინაშე შეიძლება დადგეს საქართველო რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაში? – „ვერსია“ ევროპელი დემოკრატების ერთ-ერთ ლიდერს, დიპლომატ მამუკა გამყრელიძეს ესაუბრა:

– ეს შეხვედრა აუცილებელი იმიტომ გახდა, რომ უკრაინასა და რუსეთს შორის საუბრის სხვა არხები უკვე აღარ არსებობდა. შესაბამისად, აშშ-ისა და რუსეთის ლიდერები იძულებულები გახდნენ, უკრაინის თემაზე, უკრაინის ლიდერის გარეშე ესაუბრათ. ამ შეხვედრას ბლინკენისა და ლავროვის შეხვედრა უძღოდა, სადაც ლავროვის მხრიდან გაჟღერდა, რომ აღმოსავლეთის მიმართულებით ნატო-ს გაფართოება რუსეთის იმპერატიული მოთხოვნაა. დიპლომატიაში ასე კატეგორიულად ლაპარაკი ძალიან იშვიათია და ეს უმკვეთრესი ნათქვამი იყო. ცხადია, ამას მოჰყვა ბლინკენის პასუხი...

ზოგადად, ერთია, ერთმანეთში რას ლაპარაკობენ და მეორეა, ჩვენ რას გვასმენინებენ, რადგან საკუთარი ამომრჩევლისთვის იმის მოსმენინება, რაც მოსწონთ, ჩვეულებრივი ამბავია. ყველაფერ ამას მოჰყვა ჯო ბაიდენის საუბარი ნატო-ში, ოთხ ძირითად პარტნიორთან – დიდ ბრიტანეთთან, გერმანიასთან, საფრანგეთსა და იტალიასთან. ამ საუბრის შემდეგ კი პუტინთან ონლაინ შეხვედრა გაიმართა. ხაზს გავუსვამდი, რომ ბაიდენმა ზელენსკის, პუტინთან ონლაინ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია, მხოლოდ შეხვედრიდან ორი დღის შემდეგ მიაწოდა.

– ბაიდენისა და პუტინის შეხვედრაზე რა მნიშვნელოვანი დეტალები უნდა ვიცოდეთ?

– პუტინსა და ბაიდენს შორის საუბარი ერთი-ერთზე შედგა და დიალოგზე თარჯიმნებიც კი არ დაუშვეს. შეხვედრა მედიისთვის მხოლოდ პირველი წუთნახევარი იყო გახსნილი და შემდეგ, დახურული საუბარი 2 საათი და 5 წუთი გაგრძელდა. რაზე ილაპარაკეს, რა თქმა უნდა, არ ვიცით, რადგან მხოლოდ მწირი ინფორმაცია გავრცელდა, ამიტომ შეგვიძლია, ვიმარჩიელოთ. ცხადია, ძირითადი თემა უკრაინა იყო, მაგრამ ამავე დროს, სხვადასხვა თემაც განიხილეს, მათ შორის, უსაფრთხოების შესახებ, რაც აშშ-სთვის ძალიან მნიშვნელოვანია. საუბარი შეეხებოდა, ასევე, დიპლომატიური მისიების მუშაობის განახლებას, რადგან რუსეთმა და აშშ-მ ერთმანეთს საკონსულოები დაუხურეს. ერთგვარი დათმობა მოხდა აშშ-ის მხრიდან, მივცემთ საშუალებას რუს დიპლომატებს, დაათვალიერონ ის ქონება, რაც დალუქულიაო.

მოკლედ, ეს ერთგვარი დიპლომატიური რევერანსია და მეტი არაფერი... საუბარი, ძირითადად, ალბათ, უკრაინას შეეხებოდა და შეგვიძლია, დასკვნები გამოვიტანოთ, რადგან მოვისმინეთ ბლინკენის განცხადება, რომ ისინი ძალიან მკვეთრ პასუხს გასცემენ რუსეთის ქმედებას და ა.შ.

კიდევ უფრო მწვავე განცხადება აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდმა სენატში გამოსვლისას გააკეთა. ერთ-ერთმა სენატორმა კი ისიც თქვა, თუ რუსები გადავლენ უკრაინაში, ჩვენ ბირთვულ იარაღსაც გამოვიყენებთო... მოკლედ, უფრო და უფრო ხმამაღალ განცხადებებს აკეთებენ, სინამდვილეში კი, ეს ხმაურიანი განცხადებებია და მეტი არაფერი. ამის უკან კი დგას ფაქტები...

– რას გულისხმობთ?

– როდესაც ლაპარაკობდნენ ეკონომიკურ სანქციებზე, სწორედ იმ დღეს, ეკონომიკური სანქციებიდან „ნორდსტრიმ 2“-ის საკითხი გაქრა, რაც საინტერესოა...

რაც შეეხება შეხვედრას, რა თქმა უნდა, რუსეთის მხრიდანაც გაკეთდა განცხადებები. სასაცილო იყო კოსაჩოვის განცხადება, ამერიკელები ახლა იტყვიან, შევაშინეთ რუსებიო, მაგრამ არა უშავს, ილაპარაკონო... სინამდვილეში, რეალურად, გადაწყვეტილება არ მიღებულა და დარწმუნებული ვარ, ჯერჯერობით, ყველაფერი ჰაერშია გამოკიდებული, რადგან ვნახეთ რუსეთის გენშტაბის ხელმძღვანელის განცხადება – თუ იქნება პროვოკაციები ლუგანსკში და დონეცკში უკრაინის მხრიდან, ჩვენ მკაცრ ზომებს მივიღებთო.

ახლა ისეთ რამეს ვიტყვი, რაც შეიძლება, ბევრს არ მოეწონოს, მაგრამ ეს ჩემი პირადი შეფასებაა, ჯო ბაიდენისა და პუტინის საუბრის მეორე დღეს, გაიმართა ბაიდენის პრესკონფერენცია, სადაც მან ძალიან საინტერესო რამ თქვა – ჩვენ აუცილებლად უნდა გავმართოთ შეხვედრა რუსეთთან უფრო მაღალ დონეზე ანუ ნატო-ს ოთხ ძირითად პარტნიორთან ერთად და ვისაუბროთ რუსეთის მოთხოვნებზეო. როგორც ჩანს, ძალიან მკვეთრი მოთხოვნაა რუსეთისგან, რომ ნატო არ გაფართოვდეს აღმოსავლეთის მიმართულებით და შესაბამისად, აშშ და ევროპაც, რა თქმა უნდა, არ არიან დაინტერესებულნი, ომი დაიწყონ. ომს ყოველთვის საუბარი სჯობს და ამიტომ, უახლოეს ხანებში გამოჩნდება, როგორ განვითარდება მოვლენები.

საბოლოოდ კი, ყველაფერი მადრიდში, 2022 წელს, ნატო-ს სამიტზე გაირკვევა, მათ შორის ისიც, მისცემენ თუ არა საქართველოს მაპს...

– ბაიდენმა პრესკონფერენციაზე ისიც განაცხადა, რომ აშშ უკრაინაში ჯარებს არ შეიყვანს... ამ განცხადებას როგორ აფასებთ?

– დიახ, მან განაცხადა, რომ მხოლოდ ეკონომიკურად და იარაღით დაეხმარებიან უკრაინას ანუ ხაზი გაუსვა, რომ უკრაინის, საქართველოს ან მოლდოვას გამო, სისხლის დაღვრას და რუსეთთან ომს არ აპირებს. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ობამას დროს, რუსეთს მთლიანად შერჩა ყირიმის ანექსია. ერთია, როცა რუსეთი აფხაზეთის, სამაჩაბლოს ან ლუგანსკისა და დონეცკის ოკუპაციას ახორციელებს, რადგან ეს ტერიტორიები რუსეთს არ შეერთებია ანუ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისგან კონტროლირდება, ეს ოფიციალური ანექსია არაა. ყირიმი კი რუსეთის ტერიტორია გახდა და გაერომ, ნატო-მ, აშშ-მა და ევროკავშირმა გულში ჩაივიშვიშეს და ამით დაამთავრეს. ეს იმას ნიშნავს, რომ თამაშის წესები, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იალტის კონფერენციაზე შეთანხმების შედეგად ჩამოყალიბდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აღარ არსებობს. დაირღვა რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმება, მათ შორის, უკრაინასთან დაკავშირებით. როცა უკრაინამ ბირთვული იარაღი დათმო, რუსეთმა, აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა აიღეს საკუთარ თავზე ვალდებულება მისი უსაფრთხოების დაცვისა და დაარღვიეს, როცა რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და ყირიმის ანექსირება განახორციელა.

რეალურად, ახლა მსოფლიო თამაშის წესების გარეშეა და სწორედ იმ მოლოდინის რეჟიმში ვართ, თუ როგორი იქნება შემდეგი თამაშის წესები. ყველა ასეთი ზავი და თამაშის წესები ომის შემდეგ ჩამოყალიბდა, მაგრამ ახლა, იქნებ, გადავრჩეთ ომს და ისე შეთანხმდნენ თამაშის წესებზე. ახლა ცივი ომის ფორმატში ვიმყოფებით...

– რადგან ნატო-ს ქვეყნები აპირებენ რუსეთის მოთხოვნის შესახებ მსჯელობას, უნდა ველოდოთ, რომ უკრაინასთან ერთად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კარი საქართველოსაც გაეხსენება, თუ პირიქით – დასავლეთი რუსეთთან ურთიერთობის გამწვავების გამო, ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს?

– ამ კონტექსტში, საქართველოსა და უკრაინას ერთად განვიხილავ, რადგან ერთ „კალათაში“ ვსხედვართ. ასპირანტი ქვეყნები და კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ვართ – გაძლიერებული პარტნიორობის ქვეყნებად მოვიხსენიებით, მაგრამ მთლიანად ხაზი გადაუსვა ყველაფერ ამას ნატო-ს ახალმა წარმომადგენელმა კავკასიაში, ხავიერ კოლომინამ. მან ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე თქვა, რომ უნდა გავიგოთ და თვალებში ჩავხედოთ რეალურ სიტუაციას. კოლომინას განცხადებით, სტოლტენბერგის ინიციატივა, რომ მე-4 და მე-5 პუნქტი ნატო-ს ხელშეკრულებისა არ გავრცელდეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე და ამის გარეშე მიიღონ საქართველო, ამის კატეგორიული წინააღმდეგია. ხომ ხვდებით, ეს რასაც ნიშნავს?

– მოკლედ, ამ ეტაპზე, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების რეალურ პერსპექტივას ვერ ხედავთ?

– როგორც აცხადებენ, ნატო-ს კარი ღიაა, მაგრამ რეალურად, ამ სიტუაციიდან რას მივიღებთ, 2022 წელს, მადრიდში გამოჩნდება.

– თუ აშშ-ის დაზვერვის ინფორმაცია საფუძვლიანი აღმოჩნდა და რუსეთმა უკრაინასთან ომი დაიწყო, რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს საქართველოს?

– უპირველეს ყოვლისა, როცა ლაპარაკობენ რუსეთის ჯარების შეჭრაზე უკრაინის ტერიტორიაზე, განიხილება დარტყმის რამდენიმე მიმართულება – ბელარუსიდან, ლუგანსკიდან და ყირიმიდან. სიმართლე გითხრათ, არ ვარ განწყობილი, ვიფიქრო, რომ მაინცდამაინც კიევის აღება სურს რუსეთს. შეიძლება, სურს, მაგრამ შეუძლებელია, თუმცა სრულიად რეალურია, რომ თუ რამდენიმე მიმართულებიდან შეიჭრნენ, ძირითადი დარტყმა მოახდინონ მარიუპოლის მიმართულებით და შემდეგ დნესტრისპირეთზე გავიდნენ. თუ ასე მოხდა, მაშინ ისინი სახმელეთო კონტაქტს დაამყარებენ ყირიმთან, დნესტრისპირეთთან და უკრაინას მთლიანად ჩამოჭრიან შავი ზღვიდან. ეს იმდენად შეცვლის ბალანსს შავი ზღვის აუზში, რომ კატასტროფა იქნება უკრაინისთვის, რადგან სახელმწიფოდ აღარ იარსებებს და დაღუპვის ტოლფასი იქნება. ეს საქართველოსთვისაც ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს... იმედია, არავის აქვს იმდენი ძალა, რომ პირდაპირ ღია ომი დაიწყოს, მაგრამ თუ შეატყო რუსეთმა, რომ ამერიკელები, ევროპა და ნატო არ ჩაერევიან ამაში, არაფერს გამოვრიცხავ.

– ამ ფონზე, საქართველომ რა სახით უნდა გააააქტიუროს საგარეო ურთიერთობები დასავლეთთან? სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, საქართველოდან დელეგაცია იმყოფებოდა აშშ-ში, ქართველმა დეპუტატებმა ამერიკელ კონგრესმენებს სთხოვეს ნატო-ში სწრაფად გაწევრიანების ლობირება...

– საგარეო ურთიერთობებში საერთოდ უნდა იაქტიუროს საქართველომ, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენი პარტნიორები უფრო აქტიურობენ ჩვენი ჩართვის თვალსაზრისით, ვიდრე ჩვენ.

– ბატონო მამუკა, ისე, როგორ ფიქრობთ, ორსაათიანი დიალოგის დროს, ბაიდენი და პუტინი საქართველოს თემას არ შეეხებოდნენ?

– არც ერთ საუბარში, ბაიდენს საქართველო არ უხსენებია, რაც კარგიცაა და ცუდიც. ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ეს უფრო კარგია, ვიდრე – ცუდი, რადგან სჯობს, ახლა საქართველოს თემამ არ წამოიწიოს...

თბილისის მერია ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე 81 მილიონს დახარჯავს

მაკა რუხაძე

დედაქალაქის საკრებულომ თბილისის მუნიციპალიტეტის ახალი მთავრობა უკვე დაამტკიცა. ასევე, ცნობილია, რომ თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური 2022 წელს 27 პროგრამას განახორციელებს. ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერმა „ვერსიას" განუმარტა, რომ ჩამონათვალში შედის ისეთი პროგრამები, რომლებიც ხორციელდება და რომელთა ადმინისტრირებაც მომდევნო წლებში იგეგმება. თუმცა, არ არის გამორიცხული, არსებულ ჩამონათვალს კიდევ დაემატოს ახალი პროგრამები. „ყოველთვის გვიხარია, როდესაც მუნიციპალური ბიუჯეტი თბილისელების კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისთვის ახალი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა", – განუცხადეს „ვერსიას" თბილისის მერიაში.

პროგრამები, რომლებიც მომავალი წლიდან დაფინანსდება

ჯანდაცვის პროგრამები

თბილისის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური საჭიროებების დასაფინანსებლად, საქალაქო სამსახურის პროგრამებისთვის, მერიის 2022 წლის ბიუჯეტიდან 81 000 000 ლარი გამოიყოფა. „ვერსიას" დედაქალაქის მერიაში აუხსნეს, რომ 2021 წელთან შედარებით, ეს 15 500 000 ლარით მეტია. დედაქალაქის მერის, კახა კალაძის საარჩევნო დაპირებისამებრ, მომდევნო წლებში, თბილისის მოსახლეობისთვის, საქალაქო სამსახურის მიერ, შვიდი ახალი მიმართულებისა და პროგრამის განხორციელებაა დაგეგმილი.

კერძოდ, 2022 წლიდან, შემდეგი პროგრამები ეტაპობრივად განხორციელდება: მედიკამენტების 500-ლარიანი ვაუჩერი სოციალურად დაუცველი ასაკით პენსიონერებისთვის; სამედიცინო საჭიროებების დაფინანსება; გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება; ძვლის ტვინისა და ღვიძლის ტრანსპლანტაცია. რაც შეეხება ძვლის ტვინის გადანერგვასა და მასთან დაკავშირებულ კვლევებს, ერთი მოქალაქე მერიისგან 10 ათასი ლარიდან, 235 ათას ლარამდე დაფინანსებას მიიღებს. როგორც „ვერსიას" მერიაში განუმარტეს, ეს პროგრამა ლეიკემიითა და სხვა ონკოჰემატოლოგიური დაავადების მქონე პირთა მკურნალობასა და ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) გადანერგვის დაფინანსებას ემსახურება, როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში. ეს არის პროგრამა, რომელიც ათობით ბავშვისა და მოზრდილის სიცოცხლის გახანგრძლივება-გადარჩენის ერთგვარი იმედია და რომელიც მათ ოჯახებს დიდ ფინანსურ ტვირთს უმსუბუქებს; ხოლო ღვიძლის გადანერგვას მერია 70 ათასი ლარით დააფინანსებს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია დაავადებათა სკრინინგი – ამ პროგრამის ფარგლებში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გამოკვლევები სრულად ფინანსდება. პროგრამის მიზანია, დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკა, კიბოს საწყის სტადიაზე გამოვლენა და ონკოდაავადებებით გამოწვეული ლეტალობის რიცხვის შემცირება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება: ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის, კოლორექტული კიბოს სკრინინგი და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს გამოკვლევები.

დაგეგმილია დაავადებათა სკრინინგის პროგრამის განხორციელების ორგანიზებული მოდელის დანერგვა. იგეგმება საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის კომპონენტის გაფართოება, კერძოდ, HPV ტესტირება, რაც გულისხმობს კვლევის უფრო თანამედროვე და მაღალ ხარისხს.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (ინდივიდუალური განვითარება, – ავტ.) – პროგრამის ფარგლებში, 1 375 ბავშვსა და მოზარდს შესაბამისი თერაპიული კურსები უწყვეტ რეჟიმში უფინანსდება.

ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება – ფინანსდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ძვირადღირებული მედიკამენტოზური მკურნალობა.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება – ფინანსდება კრიზისული ჩარევა ბავშვებსა და მოზარდებში და აქტიური ფსიქიატრიული მკურნალობა 18 წლის ზემოთ პირებში.

გარდა ამისა, მერია ახორციელებს გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიურ კონტროლს; აფინანსებს სახსრების ენდოპროთეზირებას; ძუძუს კიბოს სადიაგნოსტიკო კვლევების ხელმისაწვდომობისა და სწორი დიაგნოსტიკის ხელშეწყობის მიზნით, ფინანსდებს ექოსკოპიის, მრტ და ლაბორატორიული კვლევები.

სოციალური პროგრამები

თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერმა „ვერსიასთან" საუბრისას აღნიშნა, რომ თბილისის მერიას სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის არაერთი პროგრამა აქვს შემუშავებული, მათ შორის, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური დახმარების პროგრამები. სოციალურად დაუცველი ოჯახების არასრულწლოვანი წევრებისთვის, დედაქალაქის მუნიციპალიტეტი აფინანსებს სწავლების პროგრამებს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებზე.

სოციალურად დაუცველი ოჯახები, პირველ და მეორე ახალშობილზე, ერთჯერადად 500-ლარიან დახმარებას იღებენ; მესამე შვილზე, მათი დახმარება 800 ლარს; მეოთხე შვილზე – 1 000 ლარს; ხოლო მეხუთე და შემდეგ შვილზე – 1 500 ლარს შეადგენს. ამ თანხას, სოციალურად დაუცველი მრვალშვილიანი ოჯახების თითოეულ ბავშვზე, უკვე ყოველთვიური 50-ლარიანი ფინანსური დახმარება ემატება.
100 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარების პროგრამით, ხანდაზმულებს, რომელთაც 100 და მეტი წელი უსრულდებათ, თბილისის მერიისგან, ფინანსური დახმარების სახით, 1 000 ლარი ერიცხებათ.

შინმოვლის თანადაფინანსების პროგრამა – ეს პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ პირთა შინმოვლის მომსახურების თანაგადახდას. მერია ამ კუთხით თანამშრომლობს ორგანიზაციებთან – „საქართველოს კარიტასი", „საქართველოს წითელი ჯვარი", „ერთად მოყვასისათვის" და „დიაკვნის ევანგელურ-ლუთერული საზოგადოება". თბილისის მერიაში „ვერსიას" აუხსნეს, რომ ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები, კვირაში რამდენჯერმე მიდიან თანადგომის საჭიროების მქონე პირებთან და მათ სამედიცინო თუ სხვა სახის დახმარებას უწევენ.

ვეტერანთა დახმარების პროგრამა – ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, 9 მაისს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და ომში დაღუპულთა ოჯახები, ერთჯერად ფინანსურ დახმარებას იღებენ.

კომუნალური სუბსიდირების პროგრამა – სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, თბილისში, 200 001-მდე სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახებისთვის/აბონენტებისთვის, ზამთრის პერიოდში, ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების მოსაკრებელზე სუბსიდია ირიცხება, რაც ჯამურად, ერთ აბონენტზე 100-დან 530 ლარამდეა.

თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობის პროგრამა – თბილისის მიუსაფართა მუნიციპალური თავშესაფარი ლილოში ფუნქციონირებს, რომელსაც ერთდრულად, 240 ბენეფიციარის მიღება შეუძლია. თავშესაფრით, დღე-ღამეში, საშუალოდ, 110 პირი სარგებლობს. ზამთრის სეზონზე, მობინადრეთა რიცხვი მატულობს და პიკურ პერიოდში, 170-მდე იზრდება.

მერიაში გვიხსნიან, რომ თავშესაფრის მობინადრეები უზრუნველყოფილი არიან ორჯერადი სრულფასოვანი კვებით, ასევე, პირადი მოხმარების ნივთებითა და ჰიგიენური საშუალებებით. მეტიც, 24-საათიან რეჟიმში, ისინი პირველად ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებსაც იღებენ. თავშესაფრის მობინადრეებს ემსახურებიან სოციალური მუშაკები, საჭიროების მიხედვით, ისინი უზრუნველყოფილნი არიან ფსიქოლოგის მომსახურებით. გარდა ამისა, საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისა და პროფესიული უნარების გამოსამუშავებლად, ასევე, სამომავლოდ თვითდასაქმებისთვის, მათთვის სისტემატურად ტარდება ტრენინგები და ART-თერაპიის გაკვეთილები.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაცია და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა – მომავალი წლიდან, ეტაპობრივად დაიწყება სარგებლობის უფლებით საცხოვრებელი ფართების გადაცემის პროცესი იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც მერიამ უსახლკაროს სტატუსი მიანიჭა.

შშმ პირების დახმარება და საზოგადოებაში ინტეგრაცია – თბილისის სოციალურ პოლიტიკაში, ეს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ კუთხით, დედაქალაქის საქალაქო სამსახური ახორციელებს სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირთა 900-ლარიანი დახმარების პროგრამას (დახმარება სამჯერადად, მაისი-აგვისტო-დეკემბერში, 300-300-300 ლარის ოდენობით გაიცემა); სოციალურად დაუცველი, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 800-ლარიანი დახმარების პროგრამას (დახმარება ორჯერადად – მაისსა და დეკემბერში, 400-400 ლარის ოდენობით გაიცემა).

შშმ ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების პროგრამა – 3-დან 20 წლამდე ასაკის შშმ პირებზე, საქართველოს კურორტებზე დასასვენებლად, თბილისის მერია 800 ლარის ღირებულების საკურორტო ვაუჩერს გასცემს.

შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა – თბილისის მერია აფინანსებს, როგორც შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართულობით წარდგენილ განცხადება/პროექტებს, ისე შშმ პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ შორის, უსინათლოთა პირადი ასისტენტით (გამცილებლით) მომსახურების პროექტს; დღის ცენტრების თანადაფინანსების პროექტს; ხის საწარმოს მხარდაჭერის პროექტს; სუდო თარჯიმნების მომსახურებისა და სუდო თარჯიმნების გადამზადების პროექტებს. ინდივიდუალურ საჭიროებებს შორის, ფინანსდება შშმ პირთა კოხლეარული იმპლანტი, სმენის აპარატი, კიდურების პროთეზები და ორთეზები.

მერიაში „ვერსიას" აუხსნეს, რომ მომავალში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამა განხორციელდება.

მაკა რუხაძე

რა ფინანსური დარღვევები აღმოაჩინა აუდიტმა იუსტიციის სამინისტროში

ხარვეზები ინვენტარიზაციაში და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით მომზადებული ფინანსური ანგარიშგები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა იუსტიციის სამინისტრო შეამოწმა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც სახელმწიფო მაკონტროლებლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს. სახელმწიფო აუდიტორებმა უარყოფითი დასკვნა მოამზადეს და საკუთარი გადაწყვეტილება ასე ახსნეს: „ჩვენი აზრით, იუსტიციის სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად“. შეუძლებელია, ერთ საგაზეთო სტატიაში ყველა იმ დარღვევის დეტალურად აღწერა, რაც აუდიტორებმა იუსტიციის სამინისტროში აღმოაჩინეს. ამიტომ, შედარებით მნიშვნელოვან და სერიოზულ დარღვევებს გაგაცნობთ. თუმცა, ერთი რამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო – იუსტიციის სამინისტროს ფინანსური სამსახურის თანამშრომლები მარტივ ბუღალტერიაშიც კი ვერ ერკვევიან და საბუღალტრო წესებს რომ არღვევენ, ეს სახელმწიფო აუდიტორებმა გამოავლინეს.

ხარვეზები ინვენტარიზაციაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ საჯარო რეესტრის სააგენტოში, 2020 წელს დაწყებული ქონების ინვენტარიზაცია ჯერ არ დასრულებულა, ხოლო სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში 1 491 823 ლარის აქტივების დანაკლისი გამოვლინდა, მათ შორის, 491 184 ლარის მარაგების დანაკლისთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, შემდგომი რეაგირების მიზნით, იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს პროკურატურას გაუგზავნა.

„დარჩენილი დანაკლისის რეალური მიზეზების დადგენისა და შემდგომი მოკვლევის მიზნით, საქმე გადაეცა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომელმაც საკითხის განხილვის შემდგომ, შემდგომი გამოკვლევისა და სრულყოფის მიზნით, საქმე დაუბრუნა პენიტენციურ სამსახურს. ამ დარღვევის მიზეზია აქტივების არასათანადო კონტროლი“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა, იუსტიციის სახლში არაფინანსური აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები გამოავლინეს, კერძოდ: არაფინანსური აქტივების უარყოფითი ნაშთები საღრიცხვო პროგრამაში; არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციები ანალიზური აღრიცხვის გარეშე (საწყისი ნაშთების, დასახელებების, რაოდენობის, დოკუმენტაციის, შინაარსის მითითების გარეშე). გარდა ამ დარღვევებისა, აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ მოძრავ ძირითად საშუალებებზე, მატერიალურად პასუხისმგებელი პირები განსაზღვრულნი არ იყვნენ, რის გამოც, ფაქტობრივად, ექსპლუატაციაში არსებული მოძრავი ძირითადი საშუალებები კვლავ ცენტრალურ საწყობზე ირიცხება.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, იმ დავების ჯამური მოცულობა, რომლებზეც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება და შესაძლოა, წარმოიქმნას ვალდებულება, 31 685 465 ლარია, ხოლო ისეთი დავების მოცულობა, სადაც უწყებები წარმოადგენენ მხარეს, 527 287 ლარია. აუდიტორების მტკიცებით, იუსტიციის სამინისტროში არ არის შემუშავებული პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით და შესაბამისად, არც სასამართლო დავების მოსალოდნელ შედეგებს აფასებს ვინმე.

ხარვეზები სამშენებლო სამუშაოების დოკუმენტებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ სერვისების სააგენტოს 10 საზოგადოებრივი ცენტრისა (აბაშის, ასპინძის, ბაღდათის, დედოფლისწყაროს, ვანის, ნინოწმინდის, ჩოხატაურის, ჭიათურის, ხარაგაულის, ხობის საზოგადოებრივი ცენტრები) და იუსტიციის სახლის 3 ფილიალის (ქარელის, წყალტუბოსა და გარდაბნის იუსტიციის სახლები) მშენებლობაზე, 2019-2020 წლებში ჩატარებული ელექტრონული ტენდერების საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიებთან, ჯამურად გაფორმებულია 13 580 101 ლარის ხელშეკრულება, რის ფარგლებშიც, 2020 წელს გადახდილმა ანაზღაურებამ 8 306 562 ლარი შეადგინა.

„აუდიტის ჯგუფმა, აღნიშნულ სამუშაოებზე, 2020 წელს გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ფორმა N2) შეისწავლა. შედეგად, გამოვლინდა პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო მასალების დანახარჯების არასწორი დაანგარიშება, რის გამოც, გადასახდელი თანხა ჯამურად გაზრდილია 54 498 ლარით. 2021 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, სერვისების სააგენტოს ანგარიშზე, კონტრაქტორ კომპანიებს სრულად აქვთ დაბრუნებული ზედმეტად გადახდილი თანხა – 43 683 ლარი, ხოლო დარჩენილი თანხის – 10 815 ლარის დაბრუნებასთან დაკავშირებით, იუსტიციის სახლის მიერ სამუშაოების განმახორციელებელ კომპანიებთან უკვე დაწყებულია აქტიური კომუნიკაცია“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ამ დარღვევის მიზეზია სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის არასწორი გაანგარიშება, რის გამოც, საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად დაიხარჯა.

გარდა ამისა, აუდიტორებმა ისეთი ფინანსური დარღვევებიც გამოავლინეს, რაც დამწყებ ბუღალტრებსაც კი არ უნდა შეეშალოთ. ირკვევა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ძირითადი აქტივების ანგარიშზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში, მშენებარე პენიტენციურ დაწესებულებაზე გაწეული სამუშაოების ღირებულება – 3 145 418 ლარია აღრიცხული. არადა, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ეს შენობა ექსპლუატაციაში არაა შესული და ამიტომ, ძირითადი აქტივის ნაცვლად, ეს თანხა კლასიფიცირებული უნდა იყოს, როგორც სხვა, არაფინანსური აქტივი.

დარღვევები სსიპ-ების საკუთრებაში არსებულ სახელმწიფო საწარმოებში

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, იუსტიციის სამინისტროს მიერ წარდგენილ, 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, უწყების სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ-ები) მფლობელობაში არსებული სახელმწიფო საწარმოები არ არის კონსოლიდირებული კაპიტალ-მეთოდით, სააღრიცხვო ინსტრუქციის შესაბამისად.

მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრის მიერ, 2020 წელს დაფუძნებული შპს „თოლია-2020“-ის გასული წლის აკუმულირებული ზარალი 15 687 ლარია. სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ამ თანხით, ფინანსური ანგარიშგების მუხლი – „ვალდებულებები აქციებითა და კაპიტალით“, კორექტირებული არ არის.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა, ყოველი კვარტლის ბოლოს, კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავლების 10% უნდა მიმართონ სახელმწიფო ბიუჯეტში.

აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ– ების 2020 წელს მიღებული ჯამურმა შემოსავალი 114 694 287 ლარი იყო. შესაბამისად, წლის განმავლობაში, ბიუჯეტში უნდა მიემართათ 11 469 429 ლარი, რაც 2020 წელს არ განხორციელებულა! სხვათა შორის, იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა სახელმწიფო აუდიტორებს ეს ხარვეზი 2020 წლის პანდემიით აუხსნეს:

„ამ ხარვეზის მიზეზი 2020 წელს არსებული საგანგებო მდგომარეობა იყო, რის გამოც სახელმწიფო სერვისების გაცემა შეჩერდა. თავის მხრივ, ამან სსიპ-ების შემოსავლები მნიშვნელოვნად შეამცირა და არ არსებობდა საკმარისი რესურსი მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის ბოლოს, სსიპ-ების ფულადი სახსრების ანგარიშზე არსებული ნაშთი 2 876 220 ლარით შემცირდა (?!) და მხოლოდ 8 593 209 ლარი იყო“.

როგორ უნდა შევხვდეთ და რას გვიპირებს ვეფხვის წელი

ემილი ფეიქრიშვილი

ჩინური ჰოროსკოპის მიხედვით, ყოველ წელს თავისი მფარველი ჰყავს. 2022 წელს, წყლის შავი ვეფხვის წელი მოდის. ის კეთილშობილი და სამართლიანია, მაგრამ ამავდროულად, ფიცხი ნიშანიცაა. წყლის სტიქია ამ წელს შემოქმედებითი საქმიანობისთვის ხელსაყრელ პირობას ქმნის.
2022 წლის ორი მთავარი სიმბოლო იქნება ხე, რომელიც დაგეხმარებათ სტაბილურად ყოფნაში და წყალი, რომელიც შემოქმედებითი განვითარების შესაძლებლობას მოგცემთ. ვეფხვი ადამიანებში მიზანდასახულობასა და ოპტიმიზმს გააღვიძებს და აიძულებს, იბრძოლონ საკუთარი მიზნებისა თუ ოცნებებისთვის.
რევოლუციონერი ვეფხვი ძალიან ბევრ ცვლილებასა და თავგადასავალს მოიტანს. თავად წელი კი ინოვაციური და აქტიური იქნება. წინასაახალწლო პროგნოზებისა და რჩევებისთვის „ვერსია“ ასტროლოგ მიხეილ ცაგარელს დაუკავშირდა:

– ვეფხვის წელში უნდა ველოდოთ დიდ ცვლილებებს, რეფორმებს. ეს არის რევოლუციური წელიწადი, მაგრამ არ ნიშნავს, რომ ოპოზიცია რევოლუციას მოაწყობს. ხელისუფლებაში მოვლენ ადამიანები, რომლებიც მთლიანად შეცვლიან დადგენილ წესებს და ახალ დადგენილებებს შეიმუშავებენ. შეიძლება ითქვას, რომ ვეფხვი მფარველობს არა მათ, რომლებსაც სიყვარული შეუძლიათ, არამედ მათ, რომლებიც მზად არიან, ცხოვრებაში სასურველ სიმაღლეებს მიაღწიონ, მათ შორის, ეკონომიკური, პანდემიის, ურთიერთობების კუთხით, ბევრი რამ შეიცვლება, რადგან დედამიწა გადადის ახალ ფაზაში.

ბევრი რამ შეიცვლება ადამიანის ყოფასა და აზროვნებაში, ქვეყნებს შორის ძალიან ბევრი ცვლილება იქნება. ვეფხვი აქტიურია, ენერგიული მეომარი, მებრძოლი სულისკვეთების მატარებელია და ამიტომაც, ეს წელი, ტრადიცულად, მშვიდად არ ჩაივლის. გარკვეულწილად, იქნება კონფლიქტები, დაპირისპირებები, ტერორისტული აქტები მსოფლიოს მასშტაბით, შეიძლება, ეთნოგენური ავარიებიც მოხდეს, ეს ყოველივე წლის მეორე ნახევარშია მოსალოდნელი ანუ 10 აგვისტოს შემდეგ. იქამდე წელიწადი საკმაოდ მნიშვნელოვან ცვლილებებს შემოიტანს, რადგან ადამიანების უმრავლესობა ხვდება, რომ ძველებურად ცხოვრება არ შეიძლება, ამიტომ რაღაც უნდა შეიცვალოს. ვეფხვი ამის ამოქმედებას დაიწყებს. ვეფხვი „მოტეხავს“ პანდემიას, ეს იქნება თებერვლის მერე, რეალურად, ვეფხვის წელი შემოდის 1 თებერვლიდან.

– ბატონო მიხეილ, რა რიტუალების შესრულებაა საჭირო ახალ წელს, რათა ვეფხვის კეთილგანწყობა მოვიპოვოთ?

– კონკრეტული წლის შეხვედრა რიტუალურად მნიშვნელოვანია, რადგან ახალ წელს 31 დეკემბერს ვხვდებით, წინსწრებით შეიძლება რიტუალები ჩავატაროთ, რომ პატივი მივაგოთ წლის მასპინძელს – ვეფხვს. საახალწლო მაგიდაზე უნდა გვქონდეს ორი ფიგურა – ვეფხვისა და ხარის გამოსახულებებით, რადგან ხარის წელიწადი გრძელდება 1 თებერვლამდე. ხარს წინ დავუდოთ მცირე რაოდენობით მწვანილი, ვეფხვის ფიგურას – უმი ხორცი, ამით ჩვენ მათ პატივს მივაგებთ და მათ კეთილგანწყობას დავიმსახურებთ. მეორე რიტუალი სრულდება სანთლებით, რომლებიც უნდა დავდოთ სუფრაზე, ახალი წლის დადგომამდე 15 წუთით ადრე და მადლობა გადავუხადოთ წინა წელს, ყველაფრისთვის. შესაძლებელია, ამ სანთლებს 6 სურვილი ჩაუთქვათ, რაც გინდათ, რომ მომავალ წელს ასრულდეს.

– რის დალაგებას გვირჩევთ სადღესასწაულო-საახალწლო სუფრაზე, ასტროლოგიური რჩევების გათვალისწინებით?

– რაც შეეხება სუფრას, აქ წინა პლანზე მამა-პაპური საჭმელი შემოდის – გოზინაყი, საცივი და ჩურჩხელები. უშუალოდ ახალი წლის დღეებში, სასურველი არ არის ცხვრის ხორცის გამოყენება, რადგან ამ ცხოველის ხორცი ვეფხვს არ უყვარს, თუმცა სხვა ნებისმიერი ხორცეული მისაღებია. სუფრაზე არ უნდა იყოს ბრინჯი, ასევე, ზედმეტად ცხარე და მწარე საკვები. ნაკლებად უნდა გამოვიყენოთ თევზეული, სასმელიდან კი ლუდი.

ფერთა პალიტრა საკმაოდ ვრცელია. შეგვიძლია, სუფრის დეკორაციებში გამოვიყენოთ შავ-ლურჯი ფერი, რადგან შავი, ლურჯი ვეფხვის წელი მოდის. ფერის კომბინაციებს გვაძლევს სტიქია, რომელიც ამ ეტაპზე, წყალი გახლავთ. წყალი მეგობრობს მიწის სტიქიასთან, რომლის ფერებია ყავისფერი, კრემისფერი, მოყვითალო ოქროსფერი. გარდა ამისა, წყლის სტიქია მეგობრობს ბუნებაში ხესთან, ხის ფერი მწვანეა, ამიტომ ფერების პალიტრა საკმაოდ ფართო იქნება. ასევე, უნდა გამოვიყენოთ ტანსაცმელში, სუფრის გადასაფარებელში, ნაძვის ხის გაფორმების დროს.

– საქართველოში მეკვლის ტრადიცია ოდითგანაა დამკვიდრებული, ამ მხრივ, წელს რა რეკომენდაციას მოგვცემთ?

– წელს, მეკვლე ძალიან აქტიური უნდა იყოს – ენერგიული, მებრძოლი სულისკვეთების, უშიშარი ადამიანი და კარგი იქნება, თუ მას ექნება 6 ცალი 2 ლარიანი, 6 ცალი მანდარინი და 6 ცალი ფორთოხალი, რომელსაც შემოსვლის შემდეგ, სახლში მიმოაბნევს.

– პანდემიის დასრულების მხრივ, 2022 წლის ასტროლოგიური პროგნოზი როგორია?

– პანდემიის „მოტეხვას“ რაც შეეხება, ეს მოხდება ვეფხვის წელში, რაც შეეხება დასრულებას, უფრო 2023 წლისკენ დასრულდება. ვირუსი დაიწყო 2019 წლის ბოლოს, ტახის წელში, ვეფხვი ჭამს ტახს. 2022 წელს, აუცილებლად გაჩნდება ახალი წამლები, რომლებიც შეცვლიან ყველანაირ ვაქცინაციას, ამიტომაც პანდემიასთან გამკლავება გაცილებით მარტივი იქნება. 2020 წელს, როდესაც მსოფლიოში პანდემია გავრცელდა, ეს იყო ვირთხის წელიწადი, ვირთხას კი ჭამს შემდეგი წლის სიმბოლო ანუ კატა – 2023 წელი არის კატის.

– როგორი იქნება 2022 წელი აღმოსავლური ჰოროსკოპის ნიშნებისთვის?

– აღმოსავლური ნიშნებიდან ვეფხვის წელი კარგია ცხენის, ძაღლის, დრაკონისა და ვირთხის წლებში დაბადებულთათვის. უარყოფითი პერიოდი იქნება ტახის, გველისა და მაიმუნის წლებში დაბადებულებისთვის, მათ მეტი პრობლემები ექნებათ, განსაკუთრებით, წლის პირველ ნახევარში. ეს შეიძლება იყოს კონფლიქტები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, სამსახურებრივი, ფინანსური სირთულეები, პარტნიორული პრობლემები და სხვა. რაც შეეხება ზოდიაქოს დასავლურ ნიშნებს, აპრილის შუა რიცხვებამდე, ყურადღებით უნდა იყვნენ ტყუპების ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები. აპრილის შუა რიცხვებიდან, წლის ბოლომდე – კირჩხიბი, მათ სხვადასხვა სახის ცვლილებები ექნებათ.

ვეფხვის ყველაზე დიდი ფავორიტი ვერძი იქნება, ასევე, ეს პერიოდი ძალიან კარგი იქნება მშვილდოსანთა და ლომთათვის. რაც შეეხება თევზებს, ეს ნიშანიც ვეფხვის ერთ-ერთი ფავორიტია და შემდგომ უკვე მოდის მორიელი – მათ განსაკუთრებული წარმატებები ექნებათ.

კურო, თხის რქა და ქალწული სტაბილურად და კარგად გაივლიან ამ წელს, მათგან კურო, ვეფხვის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. სასწორი ცოტა ყურადღებით უნდა იყოს სექტემბერში, დანარჩენი პერიოდი სტაბილურად საშუალოა.

მერწყულებს ძალიან კარგი პერსპექტივები აქვთ – ეს იქნება კარიერული წინსვლა. ამ წელს, მფარველი ანგელოზი გადმოდის მერწყულზე, ცოტა საფრთხილოა ახალი წლის დღეები, განსაკუთრებით 20 იანვრის შუალედში. ამ პერიოდში, ენერგოტონუსი დაბალი და განწყობაც ნაკლებია, მაგრამ რადგან ახალი წლის დღეებია, ეს მაინც შეამსუბუქებს მათ განწყობას. რაც მთავარია, უნდა ერიდონ კონფლიქტებს და მნიშვნელოვანი საქმეების განხორციელება თებერვლის დასაწყისიდან დაიწყონ.

ასევე, საფრთხილო იქნება მაისის პირველი ნახევარი და ნოემბრის პირველი ნახევარი

სამართალი

№46 15 დეკემბერი 2021 წ

ბურუსით მოცული სერიული მკვლელობის ანატომია

ბათო ჯაფარიძე

80-იანი წლების მიწურულს ანუ მაშინ, როცა ქუჩაში დამოუკიდებლობის მთხოვნით გამოსვლებმაც იმატა და კანონდარღვევებმაც, ქართულ მილიციას განსაკუთრებული ჯაფა დაადგა. ერთი მხრივ, სამართალდამცავების უდიდესი ნაწილი დემონსტრანტებს გულშემატკივრობდა, მაგრამ მეორე მხრივ, ისიც კარგად იცოდნენ, რომ სწორედ ხალხმრავალი დემონსტრაციების დროს, არაერთი დანაშაული ხდებოდა და ამით კრიმინალები სარგებლობდნენ.

როგორ იძია შური შვილმოკლულმა დედამ მკვლელებზე

1989 წლის 6 აპრილს, მილიციის განყოფილებაში ქალი მივიდა, რომელმაც თქვა, რომ მისი მეათეკლასელი შვილი დაიკარგა. ის სახლში არ დაბრუნებულა და იმის მიუხედავად, რომ არცთუ იშვიათად, აქციებშიც მონაწილეობდა, შინ ყოველთვის მიდიოდა. წესისამებრ, მილიციამ ოფიციალურად მისი ძებნა სამი დღის შემდეგ დაიწყო და პირველ რიგში, თანაკლასელები გამოკითხა, რადგან სწორედ გაუჩინარების დღეს, ერთ-ერთი თანაკალასელის დაბადების დღე იყო და ყველა იქ იმყოფებოდა. ძიებას ისიც ართულებდა, რომ 9 აპრილის საზარელი ტრაგედია დატრიალდა და მილიციას სხვა საქმეებისთვის ნაკლებად ეცალა.

„ამ საქმეს განსაკუთებული ყურადღება იმიტომ მიაქციეს, რომ თანაკლასელი, რომლის დაბადების დღეც გახლდათ, მაშინდელი ერთ-ერთი მინისტრის მოადგილის შვილი იყო და შესაბამისად, საქმეში ყველაზე გამოცდილი ხალხი ჩაერია. ქვეყანა დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, თუმცა კომუნისტური ნომენკლატურა პოზიციების დათმობას ერთ ფლანგზეც არ აპირებდა და რაც მთავარია, ყველგან ძლიერად იყო“, – გვიყვება საქმის დეტალებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი. მისივე თქმით, ეს საქმე მხოლოდ იმიტომ არ გახდა რეზონანსული, რომ მაშინ ამისთვის არავის ეცალა.

თანაკლასელებმა ერთხმად აღიარეს, რომ ბიჭი დაბადების დღეზე მართლაც იყო, ის მათი მეგობარი გახლდათ, თუმცა შემდეგ, მოულოდნელად წავიდა და აღარ დაბრუნებულა. სად წავიდა, არ იცოდნენ, რაც ძალიან საეჭვო იყო, თუმცა გამოჩნდა რამდენიმე მეზობელი, რომლებმაც დაადასტურეს, რომ დაკარგული ბიჭი სახლიდან კი არ გამოვიდა, დასისხლიანებული სახით გამოვარდა, მას უკან თანაკლასელები მოსდევდნენ, შემდეგ დაიჭირეს, მანქანაში ჩააგდეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. სამართალდამცავებს ეგონათ, რომ გოგონებს უფრო ადვილად გამოტეხდნენ, მაგრამ სუსტი სქესის წარმომადგენლები ძლიერები აღმოჩდნენ და ხმა არ ამოიღეს.

საბოლოოდ, ერთ-ერთი ბიჭი ალაპარაკდა.

„სანამ სუფრასთან დავსხდებოდით, აღმოვაჩინეთ, რომ სიგარეტი გვითავდებოდა. იმ დაკარგულმა თქვა, მე ამოვიტანო, ავაგროვეთ ფული და წავიდა. რომ დაბრუნდა, მასპინძელმა ყვირილი დაიწყო, ვიღაცამ ქურთუკის ჯიბიდან მამაჩემის ნაჩუქარი 200 დოლარი მომპარაო. ყველა გაგვჩხრიკეს, მათ შორის, მეც და ვერავის ვერაფერი უპოვეს. მასპინძელი იმ ბიჭს ეცა, შენ იყავი ერთადერთი, ვინც გარეთ გავიდაო და ხელი დაარტყა, თან ყვიროდა, ქურდია, ქურდიაო. სხვებმაც დავარტყით და ის სახლიდან გამოიქცა. დავედევნეთ, მანქანაში ჩავტენეთ და მასპინძლის აგარაკზე წავედით. იქ კიდევ ვცემდით, რომ ეთქვა, სად წაიღო 200 დოლარი, იფიცებოდა, არ ამიღიაო. მერე სარდაფში ჩავაგდეთ, ჩვენ დალევა დავიწყეთ და რომ მივედით, მკვდარი დაგვხვდა. იქიდან გამოვიქეცი, მერე რა ქნეს, არ ვიცი“, – ასეთი იყო ბავშვის მონაყოლი.

სამართალდამცავებმა ყველა ის მოსწავლე დააკავეს, რომლებიც იმ დღეს დაბადების დღეზე იმყოფებოდნენ. მკვლელობა სახუმარო თემა არ იყო და მაღალჩინოსანმაც ვერაფერი გააწყო. როგორც მერე გაირკვა, თანაკლასელი აგარაკის ღობის გარეთ ჩაფლეს, სამართალდამცავებმა ადვილად მიაგნეს და...

„ამის მერე დაიწყო, რაც დაიწყო. საქმე სასწრაფო წესით გადაგვაგზავნინეს სასამართლოში, სასამართლოზე კი განსასჯელის სკამზე ექვსი მოზარდი იჯდა. არ გამოვიდა მინისტრის მოადგილის შვილის ცალკე გაყვანა, მით უმეტეს, რომ ყველაფრის თავი და თავი სწორედ ის იყო. სამაგიეროდ, სასამართლო ჩატარდა „დემოკრატიულად“ – ექვს მოზარდს მოსამართლემ აუცილებელი მოგერიება „დაუმტკიცა“ და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. ისე გამოვიდა, რომ ის ერთი აპირებდა ექვსივეს მოკვლას და ამათ დაასწრეს. ეს იყო უსამართლობის ზეიმი, არასდროს დამავიწყდება გარდაცვლილი ბავშვის დედის სახე და თვალები. მას არ ეჯერა, რაც მოხდა, გაოგნებული იყურებოდა და რაღაცას გაურკვევლად ბუტბუტებდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მომხდარიდან წელიწადზე მეტი გავიდა. ინგასი და კუკარაჩასი არ იყოს, ეს ისტორია თითქმის არავის ახსოვდა, რადგან საქართველოში უკანონობის ზეიმი იყო, ყველა იარაღით დადიოდა, მკვლელობები გახშირდა. ამიტომაც, მილიციის თანამშრომლებს არ გაჰკვირვებიათ, როცა ერთ-ერთ გამოძახებაზე წავიდნენ და საკუთარ სახლში ჩაცხრილული ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ნახეს. შესაძლოა, ამისთვის დიდი ყურადღება არ მიექციათ, მაგრამ განყოფილებაში სწორედ ის ჩინოვნიკი მივარდა, რომელმაც შვილი მაშინ სასამართლოს კლანჭებისგან იხსნა და ბოლო ხმაზე ყვიროდა, ჩემს შვილს დაცვა დაუყენეთო. მოკლული ცოლ-ქმარი მისი შვილის თანაკლასელები იყვნენ და იმ საქმეში ფიგურირებდნენ. გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ვიღაცამ შურისძიება დაიწყო და თანაც, კარგა ხნის შედეგ. სამართალდამცავებმა იმაზე დაიწყეს ფიქრი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო შურისმაძიებელი. მოკლულ ბიჭს ძმა არ დარჩა და მამა ისედაც არ ჰყავდა. აღმოჩნდა, რომ მისი ბიძაშვილი, წარსულში ორჯერ ყაჩაღობისთვის ნასამართლევი პირი იყო და კვლავ აქტიურ კრიმინალურ ცხოვრებას ეწეოდა. რა თქმა უნდა, მაშინვე დაეკავეს, მაგრამ ამაოდ. გარდა იმისა, რომ მკვლელობის დროს მყარი ალიბი ჰქონდა, არც დაუმალავს, რომ სიამოვნებით დახოცავდა დამნაშავეებს, მაგრამ ისიც იცოდა, რომ დაჭერის შემთხვევაში, დახვრეტდნენ, სიკვდილი კი არ უნდოდა.

„ცოლ-ქმარი ავტომატიდან ჩაცხრილეს. ადგილზე შვიდი ცარიელი მასრა ვიპოვეთ, მიზანს კი ექვსმა ტყვიამ უწია, საიდანაც ხუთი – ბიჭს ჰქონდა მოხვედრილი, ერთი – ქალს. გვამების ადგილმდებარეობით თუ ვიმსჯელებდით, კარი ბიჭმა გააღო და ჯერ მას ესროლეს, სროლის ხმაზე ცოლი გამოვიდა და ბოლო ტყვია მას მოხვდა მუცელში. ავტომატი ჩვენს კარტოთეკაში არ იძებნებოდა და უფრო მეტიც, ის არ იძებნებოდა არც სამხედრო ძალების შეიარაღებაში ანუ მინიმუმ, სხვა რესპუბლიკიდან იყო შემოტანილი“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

იმის გამო, რომ არც მოწმე არსებობდა და არც – ეჭვმიტანილი, საქმე კვლავ თაროზე შემოიდო და სამართალდამცავებს მხოლოდ იმის იმედი ჰქონდათ, რომ ავტომატი, ადრე თუ გვიან, სადმე ისევ გაისვრიდა. დანარჩენი თანაკლასელები 2-3 თვით დაიმალნენ, მაგრამ შემდეგ, ჯერ ერთი გამოჩნდა, მერე – მეორე, მესამე და ცხოვრებაც გაგრძელდა. ეს ამბავიც დავიწყებას მიეცა და მთელი სამი წელი ისე გავიდა, არავის გახსენებია. სამი წლის შემდეგ კი...

ერთ-ერთ ბიზნესმენს თბილისში ავტომატის ჯერი გადაატარეს. მისი მოკვლა არ უნდოდათ, უფრო შეშინებას ჰგავდა, რადგან ფეხების მიმართულებით იყო ნასროლი, თუმცა ორმა ტყვიან მიზანს მიაღწია და ბიზნესმენი ფეხში დაიჭრა. თავდამსხმელი გაქცევის დროს რაღაცას წამოედო, წაიქცა და ასფალტს თავი დაარტყა. სანამ აზრზე მოვიდოდა, ბიზნესმენის მძღოლმა გაკოჭა, საბარგულში ავტომატთან ერთად ჩააგდო, სალონში „ხაზეინი“ ჩასვა და საავადმყოფოში გააქანა, საიდანაც მილიციაში დარეკა. სამართალდამცავებმა შემთხვევის ადგილზე რამდენიმე მასრა ნახეს, რაც მთავარია, მათ ხელში იყო თავდამსხმელი, რომელმაც შემკვეთი არ დამალა და ბიზნესმენის პარტნიორს დაადო ხელი, თუმცა ეს ბაანალური საქმე საინტერესო აღარავისთვის იყო, რადგან ავტომატის ტყვიები იმ ტყვიებს დაემთხვა, რომლებითაც სამი წლის წინ, ცოლ-ქმარი მოკლეს. თავდამსხმელმა ხელები გაასავსავა, წარმოდგენა არ მაქვს, ვინ მოკლა ისინი, იარაღი ჩემმა სოფლელმა მათხოვაო. მილიციამ ის სოფლელი დააკავა, იმან კიდევ სხვა თანასოფლელს დაადო ხელი, იმან მათხოვაო, იმან – სხვას და ასე განმეორდა ექვსჯერ (?!). ბოლო დაკავებულმა თქვა, რომ მეზობლის სახლიდან შეშას იპარავდა, როცა დაჩეხილ შეშებს შორის, ავტომატი იპოვა. ასე გახდა იარაღი სოფლის საკუთრება და ის ხელიდან ხელში გადადიოდა, ზოგი ნადირობდა, ზოგიც ყაჩაღობდა, ზოგი კი ბიზნესმენებს ესროდა, თუმცა არცერთმა იცოდა, რომ ამ იარაღით ახალგაზრდა ცოლ-ქმარი იყო მოკლული.

გაარკვიეს სახლის პატრონის ვინაობა და ისიც დაადგინეს, რომ იქ ჯერ მოხუცები ცხოვრობდნენ, ხოლო როცა გარდაიცვალნენ, შვილი და შვილიშვილი სახლს იშვიათად აკითხავდნენ. შვილიშვილი ახალგაზრდა ბიჭი იყო, რომელიც იმ დროისთვის, ეროვნულ გვარდიაში მსახურობდა და როცა მის დასაკავებლად გამომძიებლები მივიდნენ, გაირკვა, რომ ბიჭი „პოსტზე“ იდგა და 120 ტყვიით ავტომატიც ჰქონდა, თანაც ვიღაცამ მოასწრო და გააფრთხილა, რომ მილიცია დაკავებას უპირებდა. გაჩნდა საშიშროება, რომ თავს დაიცავდა და სამართალდამცველებს შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევდა. ამიტომ, გამომძიებლები ფიქრობდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ და ამ დროს, მათკენ მომავალი ეჭვმიტანილი დაინახეს. ის მშვიდად მოაბიჯებდა, ხელში ავტომატი ეჭირა, ოღონდ დაბლა დაშვებული, როცა სამართალდამცავებს მიუახლოვდა, იარაღი მიწაზე დადო და სამი სიტყვა თქვა – „მე თქვენ გელოდით!“

„დედაჩემი სიმსივნით დაავადდა. საშუალება არ მქონდა, რუსეთიდან რაიმე საქონლის შემოტანა მინდოდა, წავედი კიდეც, იქ გავერკვევი-თქო, მაგრამ სამი ავტომატის გარდა, ვერაფერი წამოვიღე. ორი გავყიდე, ერთი დავიტოვე და სწორედ ამ დროს, ნაცნობმა მითხრა, მკვლელები არიან დასახოცი, თანაკლასელი მოკლეს, სასამართლომ კი გარეთ გამოუშვაო. თითოს მოკვლის სანაცვლოდ, 500 დოლარს იხდიდნენ. ვიღაცისთვის ეს თანხა ცოტაა, ჩემთვის მილიონი იყო. თანაც, გავიკითხე და მართლა მკვლელები იყვნენ. წავედი საქმეზე, კარი ბიჭმა გამიღო და ვესროლე. მერე მისი ცოლი გამოჩნდა, გოგოს არ ვესროდი, თუმცა ინსტიქტურად გამოვკარი სასხლეტს. მისი შეშინებული თვალები დღემდე მახსოვს და მოსვენებას არ მაძლევს. ის ნაცნობი ვნახე და ვუთხარი, რომ სხვებს არ დავხოცავდი და არც ის 500 დოლარი მინდოდა. იარაღი სოფელში დავმალე და დავივიწყე. დედა მაინც დამეღუპა, ვერაფრით ვუშველე“, – თქვა პირველივე დაკითხვაზე ბიჭმა და როცა საკანში წაიყვანეს, 15 წუთში, თავი ჩამოიხრჩო.

იყო ვარაუდი, რომ მას სიცოცხლე სხვამ მოუსწრაფა, მაგრამ კამერაში ნამდვილად მარტო იმყოფებოდა.

რაც შეეხება შემკვეთს, მილიციამ ისიც დააკავა და მან ხელი... გარდაცვლილი ბიჭის დედისკენ გაიშვირა, ქალმა ვერ აიტანა, შვილის მკვლელებიდან არცერთი რომ არ დასაჯეს, ყველაფერი გაყიდა და ქილერს ეძებდაო. დააკავეს ქალიც, თუმცა სულ რაღაც ერთი საათით, რადგან მას გულის შეტევა დაემართა და გამომძიებლის კაბინეტში დალია სული.

9 წლის გოგონა მოკლეს და ფანჯრიდან გადმოაგდეს

ბათო ჯაფარიძე

იმის მიუხედავად, რომ დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ შს სამინისტროს დაუნდობელი ბრძოლა აქვს გამოცხადებული, ადრეც და ახლაც მკაცრად არის გაწერილი ერთი წესი – როცა პოლიციის თანამშრომელი სროლას აპირებს, მან იარაღი ჯერ ჰაერში უნდა გაისროლოს მოწოდებით – „დამნებდი, გესვრი“ და თუ სავარაუდო ეჭვმიტანილი წინააღმდეგობას მაინც არ შეწყვეტს, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაისროლოს. არცთუ იშვიათად, ეს პროცედურა დამნაშავის სასარგებლოდ მოქმედებს, ის კონცენტრირებას და გაქცევას, ან დამალვას ახერხებს. ხშირად, საპასუხო ცეცხლსაც ხსნის.



„თბილისის ერთ-ერთ ახლადგაშენებულ გარეუბანში უბედური შემთხვევა მოხდა. 9 წლის ბავშვი მეხუთე სართულიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავები გავიდნენ და მალე ჩვენ დაგვირეკეს, ეს უბედურ შემთხვევას არ ჰგავსო. ადგილზე მისულებს, ერთი შეხედვით, ყველაფერი ისე დაგვხვდა, როგორც უბედური შემთხვევის დროს ხდება ხოლმე – ფანჯრის რაფაზე, გარეთა მხარეს, ბავშვის საშინაო ფაჩუჩების ნაწილაკებიც კი ვიპოვეთ, რომელიც რკინის რაფას იყო გამოდებული, მაგრამ ექსპერტი ამტკიცებდა, საფეთქელთან ისეთი ღრმა ჭრილობა აქვს, დაცემით ამას ვერ მიიღებდა, ასფალტზეა დაცემული ანუ მას ჯერ თავში ჩაარტყეს რაღაც და მერე გადმოაგდესო. სამუშაო დრო იყო და თვითმხილველიც არავინ იყო, ამ დროს ყველა სამსახურშია, ბავშვები – სკოლაში. გარდაცვლილს მაღალი სიცხე ჰქონდა და დედამ სკოლაში ამიტომ არ გაუშვა“, -გვიყვება ისტორიას ბატონი თენგიზი, რომელსაც ბავშვის ასაკისა და მასში მონაწილე კონკრეტული პროფესიის ადამიანის გამო, გრიფით საიდუმლო დაედო.

ბინაში ასულმა გამომძიებლებმა კუთხეში დადებული უთო იპოვეს, რომელსაც დამაგრძელებელი სველი ჰქონდა. ექსპერტმა საგულდაგულოდ დაათვალიერა და თქვა, მკვლელობის იარაღი სწორედ ეს არის, გარეცხვა სცადეს, მაგრამ დეტალურ შემოწმებაზე სისხლის ნაწილაკებს აუცილებლად ვიპოვიო. ექსპერტი მართალი აღმოჩნდა, უთო მკვლელობის იარაღი გამოდგა და ამას გარდა, სახლიდან ძვირფასეულობა იყო წაღებული, მცირე ოდენობით ოქრო, დაახლოებით, ორი ათასი მანეთი და ბებიას ოქროს კბილი, რომელიც ცოტა ხნის წინ, სტუმრად ყოფნის დროს მოსძვრა და დატოვა, მეორე მოსვლაზე წავალ სტომატოლოგთან და გავიკეთებო.

რაც მთავარია, კარი გატეხილი არ იყო ანუ ის მკვლელმა ან საკუთარი გასაღებით გააღო, ან ბავშვმა თავად გაუღო. ბოლო ვერსია იმაზე მეტყველებდა, რომ მკვლელს ბავშვი კარგად იცნობდა, მაგრამ ბავშვის დედამ თავი გაიგიჟა, შვილი ლოგინიდან ვერ დგებოდა, ისე ცუდად იყო, სამსახურშიც მხოლოდ იმიტომ წავედი, რომ განცხადება დამეწერა და 3-4 დღით გავთავისუფლებულიყავიო. გამოდიოდა, მკვლელმა კარი საკუთარი გასაღებით გააღო, მაგრამ გასაღები მხოლოდ ცოლ-ქმარს და ბავშვს ჰქონდა.

„ბავშვმა, დაახლოებით, ორი კვირის წინ დაკარგა გასაღები და ახალი გავუკეთეთ. საკეტის გამოცვლაზე კი დავფიქრდით, მაგრამ ვიღაცას შეგნებულად რომ მოეპარა, მიზეზი უნდა ჰქონოდა, ჩვენ კი ისე ნამდვილად არ ვცხოვრობთ, ვინმემ ამხელა გათვლა გააკეთოს და რაც მთავარია, ბავშვი მოკლას უმნიშვნელო თანხის გამო“,-განაცხადა ოჯახის უფროსმა და რეალურად, ის მართალი იყო. ორი ათასი მაანეთის გამო, 9 წლის ბავშვის მოკვლა ლოგიკაში არ ჯდებოდა.

გამოძიებას ჰქონდა მეორე ვერსიაც: მკვლელმა არ იცოდა, რომ ბავშვი შინ დახვდებოდა, გასაღებით გააღო, შევიდა და შემდეგ არასასურველი მოწმე მოიშორა. საუბედუროდ, იმ პერიოდში, ყველა სამსახურში ან სკოლაში იყო და კორპუსში შესული უცხო ადამიანი არავის დაუნახავს. ყოველი შემთხვევისთვის, სამართალდამცავებმა მშობლების ალიბიც გადაამოწმეს და ეჭვი ორივე მათგანზე მოიხსნა. დაკითხეს მასწავლებლები და ბავშვის თანაკლასელები, ხომ არ შეუნიშნავთ უცხო ადამიანი გარდაცვლილის გვერდით და უარყოფითი პასუხი მიიღეს.

ერთი კვირა გავიდა და გამოძიება წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წავიდა, თუმცა ერთი კვირის შედეგ, გარდაცვლილის თანაკლასელის ბინა გაქურდეს და ისიც დღისით ანუ მაშინ, როცა შინ არავინ იყო. ამჯერადაც, კარი გასაღებით იყო გაღებული და როგორც გაირკვა, მასაც გასაღები, დაახლოებით, ერთი თვის წინ დაეკარგა. სამართალდამცავებმა ყველა ბავშვი გამოკითხეს იმის გასარკვევად, კიდევ ვინ დაკარგა გასაღები და აღმოჩნდა, რომ ანალოგიური რამ კიდევ ორ მათგანს დაემართა. მათ ბინებთან მორიგეობა დააწესეს, თუმცა ამაოდ – ორი კვირის შედეგ, ერთ-ერთის ბინა გაქურდეს და თან ისე, რომ ოპერმუშაკები ეზოში, მანქანაში ისხდნენ და... ეძინათ.

„ეს არ იყო ჩავარდნა, ეს დაცინვა გახლდათ. ორივე ოპერმუშაკი სამსახურდან დავითხოვეთ, მაგრამ ამით წინ ვერ წავიწიეთ. სამაგიეროდ, მეოთხე ბინასთან გავაძლიერეთ თვალთვალი და თან სკოლის პერსონალის შესწავლა დავიწყეთ. ყველაზე საეჭვო კლასის დამრიგებელი გვეჩვენა. ის ახალგაზრდა, 31 წლის ქალი იყო, ქმარს გაცილებული, 11 წლის გოგონას მარტო ზრდიდა, თუმცა მეზობლები ამბობდნენ, მის სახლში უცხო მამაკაცი არასოდეს შეგვინიშნავსო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ყოველი შემთხვევისთვის, თვალთვალი მასწავლებელზეც დააწესეს და ბედის ირონიით, ერთ დღეს ოპერმუშაკმა, რომელსაც უნდა ეთვალთვალა, ფეხი მოიტეხა. ყველა თანამშრომელი დაკავებული იყო და ამიტომ, სათვალთვალოდ განყოფილების უფროსი, თავად ბატონი თენგიზი წავიდა. მან მალევე შეამჩნია, რომ სკოლიდან გამოსულ მასწავლებელს უკან ვიღაც კაცი აჰყვა და თითებზე არსებული სვირინგებით თუ ვიმსჯელებდით, ის მინიმუმ, ნასამართლევი უნდა ყოფილიყო. ქალი სადარბაზოში შევიდა, მას მამაკაცი ფეხდაფეხ მიჰყვა, 5 წამის დაყოვნებით კი გამომძიებელიც შევიდა. ქალი მეხუთე სართულზე ცხოვრობდა და კიბეს ფეხით აუყვა. მესამე სართულზე მას მამაკაცი დაეწია და მილიციის თანამშრომელმა გაიგონა ქალის მუდარა – არ მომკლა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, გამომძიებელმა იარაღი იშიშვლა, კიბეზე ავარდა და სწორედ მაშინ, როცა კაცს მასწავლებლისთვის მკერდში დანა უნდა ჩაერტყა, იარაღის ხმა გაისმა. თავდამსხმელი სადარბაზოს ფილაქანზე უსულოდ გაიშხლართა, ქალი კი ზედ გადაემხო და... ატირდა.

სროლის ხმაზე მთელი კორპუსი გარეთ გამოვიდა, გამომძიებელმა ბრძანება გასცა, სასწრაფოში და მილიციაში დაერეკათ. რაც მთავარია, გამომძიებელმა ქალი ბორკილით სადარბაზოს მოაჯირს მიაბა, რათა შინ არ ასულიყო და თუ სახლში რაიმე ნივთმტკიცება ჰქონდა, არ გაექრო. ამან შედეგი გამოიღო – ჩხრეკაზე მისულმა ექსპერტებმა ოქროს კბილი იპოვეს, სწორედ ის კბილი, რომელიც მოკლული ბავშვის სახლიდან დაიკარგა. მოკლული დამნაშავე კი მრავალჯერ ნასამართლევი პირი იყო.

„გარდაცვლილი ჩემი ბავშვობის სიყვარულია. როცა დაიჭირეს და 8 წელი მისცეს, გავთხოვდი. მერე ქმარს დავშორდი, ეს აღარ შემხვედრია, მაგრამ მიყვარდა. მერე კიდევ დაუჭერიათ, მერე – კიდევ, თუმცა როცა დავინახე, ყველაფერი დამავიწყდა და სიყვარულის მორევში თავით გადავეშვი. ბავშვების ბინების გაქურდვაც მან მოიფიქრა – მოსწავლეებს თემა დავაწერინე და ვთხოვე, დაეწერათ, რა გარემო იყო სახლში. ამის მიხედვით დავადგინეთ, ვინ იყო შეძლებული და ვინ – არა. გასაღებები კი ფიზკულტურის გაკვეთილის დროს, გასახდელში მოვპარე. პირველ საქმეზე რომ წავიდა, გული გამისკდა, მივხვდი, ბავშვი შინ იქნებოდა, მაგრამ როგორ გამეფრთხილებინა? მკვლელობის შესახებ მერე გავიგე, მაგრამ არაფრის შეცვლა აღარ შემეძლო. მერე მეორე ქურდობა მოხდა, მერე – მესამე და ალბათ, მიხვდა, რომ ჩემზე გამოხვიდოდით და კვალის წაშლის მიზნით, მოკვლას მიპირებდა“, – ასეთი იყო მასწავლებლის ჩვენება.

იმის მიუხედავად, რომ საქმე ქალთან ჰქონდათ, მოსამართლეებმა მკაცრი ვერდიქტი გამოიტანეს და მასწავლებელს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ის ციხიდან 9 წლის შემდეგ გათავისუფლდა, თუმცა შვილმა, რომელიც მამამ გაზარდა, ახლოს არ გაიკარა. გათავისუფლებიდან ერთ კვირაში, ქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სამართალდამცავებს ეჭვი შურისძიებაზე ჰქონდათ, მაგრამ ხელმოსაჭიდი ვერაფერი იპოვეს და საქმე სუიციდად გაფორმდა.

ბათო ჯაფარიძე

რამდენიც უნდა ვისაუბროთ საბჭოთა კავშირის ცუდ პრაქტიკასა და მონობაზე, ერთ რამეს გვერდს ვერ ავუქცევთ – 15 რესპუბლიკის ძალოვანი უწყებები იმდენად გამართულად მუშაობდნენ და ისე თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაშიც კი, ასეთი თანამშრომლობა და რაც მთავარია, შედეგი სანატრელია. ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ როცა მოძმე რესპუბლიკებს დანაშაულის გამოძება უჭირდათ, დანარჩენი ქვეყნებიდან ჩადიოდნენ საუკეთესო მაძებრები და საქმის გახსნაში ეხმარებოდნენ. ამიტომაც, საბჭოთა კავშირის 70-წლიანი არსებობის განმავლობაში, გაუხსნელ საქმეთა ჩამონათვალი მინიმალური გახლდათ, ვირტუოზულად გახსნილი საქმეების ოდენობა კი – სოლიდური.

ვინ არის 24 წლის მამაკაცი, რომელიც ქალებს ჯერ აუპატიურებს, მერე გუდავს და გვამებს ანაწევრებს

„მაშინ ყაზახეთის დედაქალაქი ალმა-ათა იყო, მერე კი ნურსულთანი გახდა დედაქალაქი, მაგრამ ჩემთვის მაინც ალმა-ათა რჩება ყაზახეთის არათუ მთავარ ქალაქად, არამედ, სიმბოლოდაც კი. 1988 წელს, სწორედ ამ ქალაქში მოხდა უმძიმესი დანაშაული, რის გამოც, შვიდი რესპუბლიკის გამომძიებლები ჩავედით და იქ ექვსი თვის განმავლობაში ვიმყოფებოდით. ჩვენს შორის ყველაზე გამოუცდელი აზერბაიჯანელი კოლეგა იყო, ძალიან პერსპექტიული ბიჭი და ასე მგონია, პრაქტიკის ასამაღლებლად უფრო გამოუშვეს, თუმცა რეალურად, ჩახლართული საქმე მან გახსნა“, – გვიყვება ყაზახეთში მომხდარი უმძმესი დანაშაულის შესახებ პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: შეყვარებული წყვილი სკვერის სიღრმეში განმარტოებას ცდილობდა და სწორედ მაშინ, როცა ეგონათ, რომ ვერავინ ხედავდა, ისინი ყველამ შეამჩნია, რადგან გოგონა ბოლო ხმაზე კიოდა. ბუჩქებში წყვილმა მოჭრილი ფეხი იპოვა. რა თქმა უნდა, მილიცია გამოიძახა და სამართალდამცავები მალევე მივიდნენ, თუმცა ფეხის გარდა, ვერაფერი იპოვეს. მოგვიანებით, ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ფეხი, მაქსიმუმ, 25 წლის გოგონას ეკუთვნოდა და მისი მოჭრიდან 24 საათზე მეტი არ იყო გასული.

იქვე, ახლოს, სტუდენტების საერთო საცხოვრებელი იყო და ძებნა იქ განაგრძეს. ერთ-ერთი სტუდენტი გოგონა, მართლაც, გამქრალიყო, თუმცა არავინ იცოდა, ვის შეხვდა და სად წავიდა. მას არც მეგობარი ბიჭი ჰყავდა. იმ დროისთვის, მოსკოვში მეცნიერებს გამოგონილი ჰქონდათ „ლიუმინოლის“ სახელით ცნობილი ხსნარი, რომელსაც თუ ღამით დაასხამდნენ, სისხლის შხეფებთან რეაქციაში შედიოდა და ანათებდა. სისხლი ერთი თვის დაღვრილიც რომ ყოფილიყო, სითხე რეაქციაში მაინც შედიოდა, თუმცა ერთი პრობლემა გახლდათ – ყველაფერ ამის დასანახად, იდეალური სიბნელე იყო საჭირო და როცა ექსპერიმენტს ჩაატარებდნენ, ალმა-ათაში შუქი უნდა გამოერთოთ. ესეც შეათანხმეს და ექსპერიმენტი დაიწყო. სითხემ აშკარად გაამართლა, სისხლით ღამის მთელი შემოგარენი იყო მორწყული. კვალსაც გაჰყვნენ და დაახლოებით, 100 მეტრში, მიწაში ჩამარხული და ბეტონის მილში დაკარგული გოგონას უსიცოცხლო სხეული იპოვეს. მას ფეხი მოჭრილი ჰქონდა და გაუპატიურებული იყო.

სანამ გამოძიება მკვლელს ეძებდა, ესქპერტებმა სპერმის ნიმუშით დაადგინეს, რომ მკვლელსა და მოძალადეს იშვიათი, მეოთხე ჯგუფის სისხლი ჰქონდა. ალმა-ათაში ასეთი სისასტიკით ჩადენილ მკვლელობას ვერ იხსენებდნენ. გადაამოწმეს ყველა, ვინც ანალოგიურ დანაშაულში იყო მხილებული, თუმცა მათგან მეოთხე ჯგუფის სისხლი მხოლოდ ორს აღმოაჩნდა, მაგრამ ორივეს მყარი ალიბი ჰქონდა. ამის მიუხედავად, ისინი მაინც დააკავეს, მაგრამ ორ დღეში გაათავისუფლეს, რადგან ახალი დანაშაული მოხდა და მსხვერპლი ისევ ახალგაზრდა გოგონა იყო. ისიც გაუპატიურებული, შემდეგ გაგუდული და ექსპერტებმა ისევ თქვეს, რომ დამნაშავე იგივე გახლდათ. ეს უკვე სერია იყო ანუ სამართალდამცავებს საქმე სერიულ მკვლელთან ჰქონდათ, რომელიც მანიაკალური თვისებებით გამოირჩეოდა. ასეთის დაკავება კი დღესაც ურთულესია. ამიტომ, ყაზახებმა დასახმარებლად მოსკოვს მიმართეს, მოსკოვმა კი საბჭთა კავშირის საუკეთესო მაძებრები მიავლინა ალმა-ათაში.

„ადგილზე ჩასულები საქმეს გავეცანით და მინდა გითხრათ, რომ მათ იდეალურად ჰქონდათ ნამუშევარი, ყველა ნიუანსი თუ დეტალი გათვლილი და რაც მთავარია, მაქსიმუმი ჰქონდათ გაკეთებული, რათა დამნაშავე დაეკავებინათ, თუმცა მის კვალზე ვერ გავიდნენ. საქმეში ჩართული იყო არა მარტო ადგილობრივი მილიცია, არამედ, სამხედრო შენაერთები, სხვადასხვა სამსახურები, საერთო ჯამში, 15 ათასზე მეტი ადამიანი. ხომ ხვდებით, რა მასშტაბებზეა საუბარი, მაგრამ რად გინდა, დამნაშავის კვალზე გასვლა ვერ ხერხდებოდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამაგიეროდ, მკვლელობები არ ჩერდებოდა. კვირაში ერთხელ მაინც, ქალაქში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ახალგაზრდა გოგონა უგზო-უკვლოდ დაიკარგა, რამდენიმე დღის შემდეგ კი მას სამართალდამცავები გაუპატიურებულსა და მოკლულს პოულობდნენ. ერთადერთი, რაც მილიციას იმედს აძლევდა, ის გახლდათ, რომ დამნაშავე არ ჩერდებოდა და, ადრე თუ გვიან, შეცდომას აუცილებლად დაუშვებდა. თითქოს ეს შეცდომაც დაშვებულ იქნა, ახალგაზრდა გოგოს სკვერში უცნობი მამაკაცი დაესხა თავს, ბუჩქებისკენ წაათრია, მაგრამ იქვე, სამოქალაქო ფორმაში გადაცმული ორი თანამშრომელი იმყოფებოდა და ახალგაზრდა კაცი მაშინვე გაკოჭეს. ის 24 წლის, ვინმე ივან მანჯიკოვი აღმოჩნდა, ალმა-ათაში მცხოვრები და რაც მთავარია, წარსულში გაუპატიურების მცდელობისთვის ნასამართლევი.

„გოგონა ნაცნობს მივამსგავსე, უბრალოდ, შეშინება მინდოდა და სანამ აზრზე მოვედი, უკვე ბორკილები მედო ხელებზე. ჩემს წარსულს რაც შეეხება, მაშინაც შემთხვევით ჩავვარდი, არავის გაუპატიურება არ მინდოდა, იმ გოგოს რაღაც მოეჩვენა, მაგრამ რადგან მაღალჩინოსანი ბიძა ჰყავდა, გამასამართლეს. აბა, იმას ხომ არ იტყოდნენ, ბოზია და კაცებს ახტებოდაო“, – განაცხადა დაკავებულმა.

გადამოწმეს მისი სისხლის ჯგუფი, პირველი დადებითი აღმოაჩნდა ანუ მთავარი მტკიცებულება დამნაშავის წინააღმდეგ გაბათილებული იყო. მანჯიკოვი გაათავისუფლეს და კატეგორიულად გააფრთხილეს, რომ ასეთი ხუმრობებისგან თავი შეეკავებინა, რადგან შესაძლებელი იყო, ვინმეს ნამდვილ დამნაშავედ მიეჩნია და, უბრალოდ, მოეკლა.

სამწუხაროდ, ვერცერთმა მსხვერპლმა ვერ მოახერხა გადარჩენა, რომ მილიციას დამნაშავეზე რამე მაინც ეთქვა. რაც მთავარია, მკვლელი ადგილზე არ ტოვებდა არაფერს, გოგონებს, ძირითადად, მათივე ტანსაცმლით – გეტრებით ან ყელსახვევით გუდავდა და როცა ეს გახმაურდა, ალმა-ათაში ქალების ყელიდან ყელსახვევები, უბრალოდ, გაქრა. არავის სურდა, მკვლელის ყურადღება მიეპყრო და რაც მთავარია, არავის სურდა, ის ყელსახვევი მკვვლელობის იარაღი გამხდარიყო. ამის მიუხედავად, მილიონიან ალმა-ათაში არ იყო რთული ისეთი გოგოს პოვნა, რომელიც შინ ღამით მარტო ბრუნდებოდა და დამნაშავეც გვამებს ხან – ერთ, ხან მეორე ადგილზე ტოვებდა. გადაცმული თანამშრომლები 24-საათიან რეჟიმში მორიგეობდნენ, ღამით თანამშრომელი ქალები გამომწვევად იცვამდნენ და სეირნობდნენ, მაგრამ არა – დამნაშავე თითქოს გრძნობდა, ვინ იყო მილიციის თანამშრომელი და ვინ სავარაუდო მსხვერპლი.

ღამეები არ ეძინათ სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩასულ მაძებრებს, უკვე მეათასედ გაიარეს ყველა მკვლელობის თითოეული დეტალი, მაგრამ ამაოდ, ახალი ვერცერთმა ვერაფერი იპოვა.

„ამ დროს, ჩემთან მოდის ალმა-ათას სამძებრო განყოფილების უფროსი და მეუბნება, ჩემს ხალხს ყველაზე კარგად ვიცნობ, მათი ხასიათიც ვიცი, ვხვდები, როდის ამბობენ ტყუილს და როდის – სიმართლეს. ამიტომ, შინაგანად მჯერა, რომ დამნაშავე ივან მანჯიკოვია, ის ბიჭი, გოგოს თავს რომ დაესხა, მაგრამ რა ჯანდაბა ვუყო იმას, რომ სისხლის ჯგუფი არ ემთხვევა?! ამ საუბარს აზერბაიჯანელი კოლეგა ისმენდა და მოულოდნელად თქვა, იქნებ, ექიმები შეცდნენ, იქნებ, სისხლის ჯგუფი არასწორად დაადგინესო და ნიმუში განმეორებით კვლევაზე, უკვე მოსკოვში გავგზავნეთ“,-იხსენებს ბატონი თენგიზი.

მოსკოვიდან მოსულმა პასუხმა მაძებრები შოკში ჩააგდო. დამნაშავეს პირველი დადებითი ჯგუფის სისხლი აღმოაჩნდა. დაკითხეს ექიმები და მათ თავი იმართლეს, აქაოდა, რაღაც შეგვეშალა, მაგის გულისთვის ნუ დაგვხვრეტთო. არადა, მას შემდეგ, რაც ივან მანჯიკოვი დააკავეს და გაუშვეს, კიდევ 4 მკვლელობა მოხდა და თუ აღმოჩნდებოდა, რომ დამნაშავე სწორედ ის იყო, ოთხი გოგონას სიკვდილი ექიმების სინდისზე იყო. მასზე თვალთვალი დააწესეს, ოღონდ ძალიან ფრთხილობდნენ. ასე განსაჯეთ, მოთვალთვალეები რომ არ დაეფიქსირებინა და ეჭვი არ აეღო, ორი ქალი და ერთი კაცი ათწუთიანი სიხშირით იცვლებოდნენ და რაც მთავარია, ძველ წყვილს მორიგეობა გრაფიკით 72 საათის შემდეგ მოუწევდა ანუ ხომ ხვდებით, რა ძალები იყო ჩართული საქმის გასახსნელად.

დამნაშავე „საქმეზე“ ორ დღეში წავიდა. საღამო ხანს, სპორტულები ჩაიცვა და ვითომც არაფერი, სკვერში სკამზე ჩამოჯდა. ის გულდასმით აკვირდებოდა გოგოებს და იმის მიუხედავად, რომ ამ დროს, წინ სამმა გადაცმულმა თანამშრომელმა ქალმა ჩაუარა, მათ ყურადრება არ მიაქცია. სამაგიეროდ, ერთი სტუდენტი ამოარჩია, უკან გაჰყვა და როგორც კი მომენტი ჩაუვარდა, ბუჩქებისკენ წაათრია. სამართალდამცავებმა იცოდნენ – ის ჯერ აუპატიურებდა, შემდეგ გუდავდა. ამიტომ, დაახლოებით, 1 წუთი დააცადეს, დამნაშავეს გოგონასთვის რომ გაეხადა და კინაღამ ამის გამო დაისაჯნენ კიდეც. გოგო ძლიერი აღმოჩნდა და რომ გაეჩერებინა, მოძალადემ თავში აგური ჩაარტყა. სწორედ ამ დროს დაადგნენ ოპერმუშაკები და ბორკილები დაადეს. საბედნიეროდ, გოგონა გადარჩა, ივან მანჯიკოვი კი განყოფილებაში მიიყვანეს.

„მე ახალგაზრდა კაცი ვარ და თუ არ ვძალადობ, ისე სიამოვნებას ვერ ვიღებ. ამის გამო, შეყვარებულიც გამექცა. გოგონებს კი იმიტომ ვხოცავდი, რომ მათ ჩემი ამოცნობა არ შეძლებოდათ“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლო დიდ ხანს არ გაგრძელებულა, მანჯიკოვს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა სასწრაფო წესით მიუსაჯეს და განაჩენიც მალევე აღასრულეს.

შინაგან საქმეთა მინისტრი აფხაზეთიდან გადმოსვენებული პირების სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან და მთავრობის წევრებთან ერთად, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან გადმოსვენებული 8 პირის სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო.

სამების საკათედრო ტაძარში, მთავრობის მეთაურმა და მინისტრებმა დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს და ოჯახის წევრებს მიუსამძიმრეს.

საქართველოს ხელისუფლების, კერძოდ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ერთობლივი ძალისხმევით, ორმხრივი, ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში, 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული 8 იდენტიფიცირებული პირის გადმოსვენება მოხერხდა, მათგან 5 სამხედრო და 3 მშვიდობიანი მოქალაქეა.

საპატრულო პოლიციაში გატარებულ რეფორმებს სომხეთის პოლიციის დელეგაციის წევრები გაეცნენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსი, ვაჰე ღაზარიანი დელეგაციასთან ერთად ეწვია. სტუმრებს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზმა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, ვაჟა სირაძემ უმასპინძლეს.

ვაჟა სირაძემ სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსს და დელეგაციის წევრებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საქმიანობა, განხორციელებული რეფორმები და სამომავლო გეგმები გააცნო.

ვახტანგ გომელაურმა სტუმრებს საპატრულო პოლიციის ეკიპაჟების ავტომობილები და აღჭურვილობა დაათვალიერებინა. სომეხმა სამართალდამცველებმა საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრიც მოინახულეს, სადაც იმ სერვისებს გაეცნენ, რომელთა მიღებაც მოქალაქეებს „ერთი სარკმლის პრინციპით“ შეუძლიათ.

ვიზიტის ფარგლებში, სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსი და დელეგაციის წევრები შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენცენტრ „112“-სა და შსს-ს აკადემიას ეწვივნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებს სომხეთის პოლიციის უფროსი დელეგაციის წევრებთან ერთად ეწვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის წარმომადგენლები ეწვივნენ, რომლებიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში იმყოფებიან. სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსს, ვაჰე ღაზარიანს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბუთხუზმა და მომსახურების სააგენტოს დირექტორმა, ბესიკ ტეფნაძემ უმასპინძლეს. სააგენტოს დირექტორმა დელეგაციის წევრებს მომსახურების სააგენტოს რუსთავის ცენტრალური დეპარტამენტის შენობა დაათვალიერებინა და არსებული სერვისების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა. სტუმრები მართვის მოწმობის მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდების ჩაბარების პროცესსაც გაეცნენ. სააგენტოში ვიზიტის დასასრულს, სომეხ სამართალდამცველებს საჩუქრად სახელობითი სანომრე ნიშნები გადაეცათ.

საქართველოს ვიზიტის ფარგლებში, სომხეთის პოლიციის დელეგაციის წევრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ მოინახულეს.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორმა, გიორგი არსოშვილმა სტუმრებს საქართველოში გადაუდებელი დახმარების მართვის სფეროში არსებული ვითარება გააცნო. იგი დელეგაციის წევრებს ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ერთიანი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მართვისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტებისა და სამომავლო გეგმების შესახებაც ესაუბრა.

სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის წარმომადგენლებს, შსს-ს აკადემიაში, მინისტრის მოადგილეებმა: ალექსანდრე დარახველიძემ, გიორგი ბუთხუზმა და რექტორმა, ივანე პაპიაშვილმა უმასპინძლეს. სტუმრები სასწავლებლის საქმიანობის სპეციფიკას და ინფრასტრუქტურას გაეცნენ. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს სასწავლო და ფიზიკური მომზადების ოთახები, იმიტირებული სასაზღვრო-გამტარი პუნქტი, ტაქტიკური და საცეცხლე მომზადების შენობები.

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური სომხეთის პოლიციის უფროსს მასპინძლობს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსი ვაჰე ღაზარიანი, დელეგაციასთან ერთად, ოფიციალური ვიზიტით ეწვია.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა ვაჰე ღაზარიანთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა. სტუმრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში მდებარე საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული პოლიციელების მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

სომხეთის პოლიციის დელეგაციის წევრები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებულ რეფორმებს გაეცნენ. შეხვედრის მონაწილეებმა სამომავლო ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებზე გაამახვილეს ყურადღება და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვაზე შეთანხმდნენ.

საქართველოს მხრიდან შეხვედრას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები: გიორგი ბუთხუზი, იოსებ ჭელიძე და ალექსანდრე დარახველიძე, ასევე, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელები, ხოლო სომხეთის დელეგაციის მხრიდან: პოლიციის უფროსის მოადგილეები, ერევნის პოლიციის უფროსი და სხვა დანაყოფის უფროსები დაესწრნენ. სამდღიანი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსი, დელეგაციასთან ერთად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, მომსახურების სააგენტოს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, შსს-ს აკადემიას ესტუმრნენ და მათი მუშაობის სპეციფიკას ადგილზე გაეცნენ.

ალექსანდრე დარახველიძე გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრას დაესწრო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების შიდა მექანიზმის შემუშავების შესახებ სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა საქართველოში, კაორი იშიკავამ გახსნეს.

ალექსანდრე დარახველიძემ ხაზი გაუსვა შინაგან საქმეთა სამინისტროში, გენდერული მეინსტრიმინგისა და გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების მიმართულების გაძლიერებასა და სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების, როგორც თანაბარი შესაძლებლობებისა და ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნის მნიშვნელობას.

მინისტრის მოადგილემ ისაუბრა უკანასკნელ წლებში უწყების მიერ გენდერული თანასწორობის მიღწევის კუთხით გადადგმულ ნაბიჯებზე, რომლის კვალდაკვალ, სამუშაო ადგილზე გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, არსებული გამოწვევების საპასუხოდ და სისტემაში ეფექტიანი გენდერული პოლიტიკის გასატარებლად, სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების შიდა მექანიზმის დანერგვის გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

სამუშაო შეხვედრა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის – „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისთვის საქართველოში“ ფარგლებში ჩატარდა, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის, კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის მიერაა მხარდაჭერილი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ 16-დღიან გლობალურ კამპანიას და კიდევ ერთხელ გმობს მათ მიმართ ძალადობის ნებისმიერ ფორმას, რაც დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ქალების სრული თანასწორუფლებიანობის მიღწევისათვის.

კალათბურთი სანიკიძეს ჩააბარეს

გასულ კვირას კალათბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. თავიდან ორი კაანდიდატი იყო დარეგისტრირებული – მოქმედი პრეზიდენტი პაატა გურასპაული და ვეტერანი კალათბურთელი, პარლამენტის წევრი ვიქტორ სანიკიძე. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, გურასპაულსა და სანიკიძეს შორის შეხვედრა გაიმართა, რის შემდეგაც, მოქმედმა პრეზიდენტმა კანდიდატურა მოხსნა და განაცხადა, რომ კალათბურთი ერთი ოჯახია და ისინი ერთად იზრუნებენ მის აღორძინებაზე. შედეგად, არჩევნების დღეს, ხმის უფლების მქონე 39-ვე დელეგატმა ხმა ერთადერთ კანდიდატს, ვიქტორ სანიკიძეს მისცა.

უახლოეს მომავალში, ახალი პრეზიდენტი, რომელიც 4-წლიანი ვადითაა არჩეული, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებსა და გენერალურ მდივანს წარადგენს. დარწმუნებით შეგვიძლია გითხრათ, რომ ამ ორიდან ერთ-ერთ პოსტს ყოფილი პრეზიდენტი, პაატა გურასპაული დაიკავებს. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ კალათბურთის განვითარებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 100 მილიონი ლარი გამოიყო და ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ იმავე ბიუჯეტიდან, ხუთიოდე წლის წინ, ფეხბურთის განვითარებისთვის მეოთხედი მილიარდი ლარი დაიხარჯა.

გუბანოვამ ქართული ჰიმნი პირველად დააკვრევინა

ანასტასია გუბანოვა რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოციგურავედ ითვლებოდა. 2002 წელს დაბადებულმა გოგონამ, 2016 წლამდე, 12 საერთაშორისო ტურნირი მოიგო, შემდეგ კი ტრავმა მიიღო და როცა ფორმაში ჩადგა, გაირკვა, რომ რუსეთის ნაკრებში მისი ადგილი აღარ იყო. მას საქართველოს მოქალაქეობა შესთავაზეს და ანასტასიამაც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო.

10 დეკემბერს, ხორვატიაში, ჩელენჯერის სერიის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, სადაც 15 ქვეყნის 23 სპორტსმენი მონაწილეობდა. მათ შორის იყო რუსეთის წარმომადგენელიც, თუმცა ანასტასიამ საოცრად ისრიალა და პირველობა არავის დაუთმო. ხორვატიაში ქართული ჰიმნი აჟღერდა და არა მარტო ქართველები, არამედ, საერთაშოროსი ექსპერტებიც აღიარებენ, რომ თუ ამ უნიჭიერეს გოგონას ტრავმები ხელს არ შეუშლის, ის მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიადაზე ოქროს მედლების მოპოვების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება.

ათი წლის შემდეგ „გაგრა“ დაბრუნდა

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი ერთი კვირის წინ კი დასრულდა, მაგრამ ის იყო გასარკვევი, პლეი-ოფებში ვინ იმარჯვებდა, ვინ გააგრძელებდა ასპარეზობას რანგით ქვედა ლიგაში და რამდენი კლუბი მოახერხებდა უძლიერესთა შორის გადმოსვლას. უმაღლეს ჩემპიონატში, ქვედა ლიგიდან პირდაპირ ბოლნისის „სიონი“ გადმოვიდა, როგორც პირველადგილოსანი, მეორე ადგილზე გასული „გაგრა“ და მესამეადგილოსანი მარტვილის „მერანი“ კი უმაღლესი ლიგის კლუბებს – ქობულეთის „შუქურას“ და ქუთაისის „ტორპედოს“ დაუპირისპირდნენ.

დრამატული გამოდგა იმერულ-მეგრული დაპირისპირება. მარტვილში, „მერანმა“ 2:0 იმარჯვა, ქუთაისში კი 0:2 დამარცხდა და საქმე დამატებით დრომდე მივიდა, სადაც გადამწყვეტი გოლი ქუთაისელებმა გაიტანეს და უძლიერესთა შორის ადგილი შეინარჩუნეს. რაც შეეხება „გაგრას“, ქობულეთში უგოლო ფრეს შემდეგ, საპასუხო შეხვედრაში გუნდმა 1:0 იმარჯვა და 10-წლიანი პაუზის შემდეგ, უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა. ადრეც გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ – აზერბაიჯანში, ხელისუფლებამ რამდენიმე მილიონი ჩადო იმისთვის, რომ კლუბი, სახელწოდებით – „ყარაბახი“, გაეძლიერებინა. მეზობელმა ქვეყანამ იმდენი მოახერხა, რომ „ყარაბახმა“, როგორც ჩემპიონთა, ისე ევროპა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა. ჰოდა, ლამის მთელი საფეხბურთო სეზონის განმავლობაში, ევროპულ სტადიონებსა და სპორტულ საიტებზე გარკვევით ეწერა – „ყარაბახი“ (აზერბაიჯანი). ვითომ, იგივეს გაკეთება „გაგრას“ ან თუნდაც სოხუმის „დინამოს“ შემთხვევაში არ შეიძლება?!

ეტოო ომში შევიდა

იმის მიხუედავად, რომ ევროპაში არაერთი წარმატებული კამერუნელი ფეხბურთელი თამაშობს, ყველამ იცის, რომ კამერუნის ფეხბურთის ფედერაცია ცნობილია შიდა დაპირისპირებებით, არასწორი მენეჯმენტითა და კორუფციით. საფეხბურთო საქმეების გარჩევა ხშირად ქუჩაში და ავტომატების თანხლებით მიდის. ამიტომ, წარმატებული ფეხბურთელები ნაკლებად ერეოდნენ ფედერაციის შიდა საქმეებში და კარიერის დასრულების შემდეგ, საცხოვრებლად ბებერ კონტინენტზე რჩებოდნენ, ან ამერიკაში მიდიოდნენ.

ჰოდა, ბევრს გაუკვირდა, როცა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა კამერუნის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა ფეხბურთელმა, სამუელ ეტოომ მიიღო. მან კონკურენტი 12 ხმით დაამარცხა და პრეზიდენტის პოსტიც მოირგო. პირველივე განცხადებაში, ეტოომ დაადასტურა, რომ გამოწვევებისთვის მზად არის და მტკივნეული გადაწყვეტილებების მიღებასაც არ მოერიდება. ადგილობრივი მედია კი წერს, რომ პირველ რიგში, სამუელს ადგილობრივი კრიმინალური დაჯგუფებების მოგერიება მოუწევს, რომლებიც პერსპექტიული ფეხბურთელების ბედს ავტომატებით განაგებენ.

შეტევა კვარაცხელიაზე – ქართველზე რუსებმა გაილაშქრეს

ალბათ, გახსოვთ, გასული სეზონის მიმდინარეობისას, არა მარტო რუსი ჟურნალისტები, არამედ, მთელი ევროპა წერდა, რომ ყაზანის „რუბინს“ გუნდში ნამდვილი მარგალიტი ჰყავდა და ეს მარგალიტი რომელიმე გრანდის გვირგვინის სამშვენისი გახდებოდა. საუბარი ხვიჩა კვარაცხელიაზე იყო, რომელსაც მართლაც შთამბეჭდავი სეზონი გამოუვიდა, მაგრამ ყაზანურმა კლუბმა იმხელა ფასი დაადო, მყიდველები დაფრთხნენ. შედეგად, „ჩემოდნებზე მყოფი“ კვარაცხელია კვლავ „რუბინში“ დარჩა და როგორც ჩანს, განუხორციელებელი ტრანსფერი თუ ოცნება, დიდ ფსიქოლოგიურ ტვირთად დააწვა. რუსეთის ჩემპიონატში პირველი წრე მიილია და ჩვენი ჩრდილოელი კოლეგები უკვე ალაპარაკდნენ, რომ ხვიჩა „რუბინისთვის“ აღარც შეუცვლელი ფეხბურთელია და აღარც ევროპაში წავა, თუმცა...

იგივე რუსი ჟურნალისტები შეფარვით წერენ, კარგი იქნება, თუ ხვიჩა კარიერას „ზენიტში“ ან მოსკოვის „დინამოში“ გააგრძელებს, ეს კლუბები ევროპულ თასებზე თამაშობენ და კვარაცხელიას იქ უფრო შენიშნავენო. რეალურად კი, ამ ორი კლუბიდან ერთ-ერთში გადასვლა იმას ნიშნავს, რომ ქართველ ნახევარმცველში რუსული კლუბები არნახულ თანხას მოითხოვენ, არსადაც არ გაუშვებენ და გააფუჭებენ ზუსტად ისე, როგორც ეს სხვა ქართველების შემთხვევაში გააკეთეს. მაგალითისთვის მხოლოდ ჯანო ანანიძის დასახელებაც კმარა, რომელზეც უდიდეს იმედს ვამყარებდით, მაგრამ ვიდრე „სპარტაკმა“ ბოლომდე არ „მოკლა“, არსად გაუშვა.

ამიტომ, რაც მალე დატოვებს კვარაცხელია არა მარტო „რუბინს“, არამედ, რუსეთის პრემიერლიგას, მით უკეთესი იქნება. მითუმეტეს, 1 იანვარს, ზამთრის სატრანსფერო სეზონი იხსნება და ჩვენებურს მსურველები რომ არ აკლია, ყველამ იცის. მთავარია, ყაზანელებმა გონივრულ ფასად გაუშვან.

ბაზაძე საფრანგეთის ჩემპიონია

საუკეთესო ქართველი მოფარიკავე, სანდრო ბაზაძე საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. ის კლუბ „ორლეანის“ ღირსებას იცავს და ოქროს მედალიც სწორედ ამ გუნდის შემადგენლობაში მოიპოვა. ქვეყნის პირველობა საფრანგეთის ქალაქ პოში გაიმართა. ბაზაძის გუნდმა მასპინძელი ქალაქის კლუბ „პოს“ 45:31 მოუგო და კვარცხლბეკზე დამსახურებულად ავიდა.

შეგახსენებთ, რომ ზაფხულის ოლიმპიადაზე, სანდროს ოქროს მედლამდე ცოტა დააკლდა და ეჭვი გვაქვს, მომდევნო ოლიმპიადაზე, ის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის სტატუსით ჩავა.

ქართველ ჩოგბურთელებს რთული ჯგუფი შეხვდათ

ნელ-ნელა ტრადიციად ყალიბდება ის, რომ საჩოგბურთო სეზონი ATP-ს თასის გათამაშებით იწყება და მასში მონაწილეობას ეროვნული ნაკრებები იღებენ. იმის გამო, რომ საუკეთესო ქართველი ჩოგბურთელი, ნიკოლოზ ბასილაშვილი ერთეულთა რეიტინგში საკმაოდ მაღალ პოზიციას იკავებს, ტურნირზე საქართველოს ნაკრებიცაა მიწვეული. 7 დეკემბერს, ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში, შეჯიბრის წილისყრა გაიმართა და ჩვენი ნაკრები საბერძნეთთან, პოლონეთთან და არგენტინასთან ერთად მოხვდა. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფიდან მხოლოდ პირველადგილოსანი გადის, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენს ბიჭებს ურთულესი მისია აკისრიათ და პირველობა ძალიან, ძალიან გაუჭირდებათ.

ტურნირზე, ბასილაშვილის გარდა, საქართველოს ნაკრების ღირსებას ალექსანდრე მეტრეველი, ალექსანდრე ბაკში, ზურა ტყემალაძე, საბა ფურცელაძე დაიცავენ.

„გოლდენ გორის“ ბრინჯაო

ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში, ძიუდოისტთა შორის, ჩემპიონთა ლიგის საკლუბო ტურნირი გაიმართა. შეჯიბრში მონაწილეობა ორმა ქართულმა კლუბმა – „მებრძოლმა“ და „გოლდენ გორმა“ მიიღეს. „მებრძოლის“ რიგებში ბაგრატ ნინიაშვილი, ფრიდონ გიგანი, ტატო გრიგალაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი და ვარლამ ლიპარტელიანი ირიცხებიან, ხოლო „გოლდენ გორის“ ღირსებას ვაჟა მარგველაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, ლუკა მაისურაძე, ვლადიმერ ახალკაცი და გელა ზაალიშვილი იცავენ.

ბედმა ქართული კლუბები ერთმანეთს მესამე ადგილისთვის შეხვედრაში დაუპირისპირა და დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება და ბრინჯაოს მედლები „გოლდენ გორს“ ერგო. „მებრძოლის“ მხრიდან გამარჯვება ტატო გრიგალაშვილმა და ვარლამ ლიპარტელიანმა მოიპოვეს, ხოლო „გოლდენ გორის“ რიგებში – ვაჟა მარგველაშვილმა, ლაშა შავდათუაშვილმა და ლუკა მაისურაძემ იმარჯვეს.

როგორ აღმოჩნდა „ჩაკრულო“ კოსმოსში

ემილი ფეიქრიშვილი

კახეთის რომელ მუნიციპალიტეტში დაიდგმება ოქროს ფირფიტის მონუმენტი

1977 წელს, NASA-მ კოსმოსური ხომალდი „ვოიაჟერი“ ორბიტაზე გააგზავნა. ხომალდს ოქროს ფირფიტაც გააყოლეს, რომელზეც სხვადასხვა ერის ფოლკლორული მუსიკა იყო ჩაწერილი, მათ შორის, ქართული პოლიფონიური სიმღერის უნიკალური ნიმუში – „ჩაკრულო“ – მრავალხმიანი სიმღერის ეტალონი.

იუნესკომ ქართული მრავალხმიანობა მსოფლიო პოლიფონიის შედევრად აღიარა. NASA-მ „ჩაკრულო“ კოსმოსში გაგზავნა, როგორც კაცობრიობის მუსიკალური ნიჭის ნიმუში, რომელიც განკუთვნილია დედამიწისგარე ცივილიზაციის წარმომადგენლებისთვის და მიზნად ისახავს, დედამიწისა და კაცობრიობის შესახებ წარმოდგენის შექმნას.

კოსმოსში გაშვებულ სხვა ინფორმაციასთან ერთად (წყლის ხმაური, ბავშვის ტირილი, მისალმება 60 ენაზე და სხვა), შეტანილია „ჩაკრულოს“ ის ვერსია, რომელსაც ილია ზაქაიძე და როსტომ საგინაშვილი ასრულებდნენ.

აქედან გამომდინარე, გურჯაანში, ოქროს დისკის მონუმენტის გაკეთება დაანონსდა. გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც მოქანდაკე ირაკლი ჟვანიამ გაიმარჯვა და ამის შესახებ, Facebook-ის პირად გვერდზე გამოქვეყნებული პოსტის საშუალებით გვამცნო:

„1977 წელს, ქართული „ჩაკრულო“ NASA-ში შეარჩიეს და ოქროს დისკზე ჩაწერეს, შემდეგ კი Voyage1-ით კოსმოსში გაუშვეს, როგორც დედამიწის საუკეთესო ჰანგების კოლექციის ერთი ნაწილი. ამ ფაქტის გამო, მონუმენტი გაკეთდება კახეთში, გურჯაანში – „ჩაკრულო კოსმოსში“... ქართული სიმღერა კოსმოსში ეხლაც მოგზაურობს, ვაკეთებთ“.

* * *

„ვერსია“ მოქანდაკე ირაკლი ჟვანიას დაუკავშირდა, რომელმაც საინტერესო ისტორია გვიამბო იმის შესახებ, თუ როგორ აღმოჩნდა ქართული „ჩაკრულო“ ოქროს დისკზე:

„ამ პროექტს ქალაქ გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს, რომელმაც ტენდერი გამოაცხადა. გავიმარჯვე და ახლა პროექტს ვაკეთებ, რომელიც იდეის დონეზე უკვე წარვადგინე და ძალიან მოეწონათ.

რაც შეეხება ფინანსების მოძიებას, ეს საკითხი წინასწარ უცნობია, ჯერჯერობით, მიმდინარეობს მუშაობა. სად განთავსდება და როდის დაიწყება უშუალოდ მონუმენტზე მუშაობა, ამ ეტაპზე, ინფორმაცია არ მაქვს. როდესაც პროექტი დასრულდება და ჩავაბარებთ, შესაძლოა, ამის შემდეგ მერიამ დააფინანსოს ან სხვა საშუალებით მოხდეს თანხის მოძიება“.

ირაკლი ჟვანიამ „ვერსიას“ აუხსნა, რომ კოსმოსში გაშვებული „ჩაკრულოს“ ვერსიის მომღერლების გუნდი სახელმწიფო ანსამბლი იყო, რომელსაც ანზორ კავსაძე ხელმძღვანელობდა:

„ისინი აშშ-ში, გასტროლებზე იმყოფებოდნენ და როდესაც ერთ-ერთ კონცერტზე, „ჩაკრულო“ იმღერეს, ამერიკელებს ძალიან მოეწონათ. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ NASA-ს დისკზე ჩაეწერათ. იმ დროს, მოსკოვმა ძალიან იწვალა იმისთვის, რომ „ჩაკრულოს“ მაგივრად, „პადმასკოვნიე ვეჩერა“ ჩაწერილიყო, მაგრამ ამერიკელებმა უარი უთხრეს და კოსმოსში ქართული „ჩაკრულო“ გაუშვეს“.

ქმრის ცხედარს წლობით ინახავდა

აშშ-ში, იუტას შტატის ქალაქ ტუელში, სამართალდამცველებმა, 75 წლის ჟანა სუორონ-მარტესი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. პოლიციამ მარტოხელა ქალის ბინის დათვალიერების შედეგად, მის მაცივარში მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინა, რომლიც, როგორც გაირკვა, ჟანას მეუღლე იყო. სამართალდამცველებმა გარდაცვლილის მეზობლები გამოკითხეს. მათი თქმით, მოხუცი ქალბატონის მეუღლე წლებია, თვალით არ უნახავთ. ცხედრის ექსპერტიზამ კი აჩვენა, რომ მამაკაცი, დაახლოებით, 11 წლის წინათ გარდაიცვალა და მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჟანა მას მაცივარში ინახავდა.

ლოცვით განკურნება მეცნიერულად დამტკიცებულია

მედიკოსების მტკიცებით, ლოცვისა და მედიტაციის ძალა განუზომელია. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის გამოყენებით ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სისტემატური ლოცვა ტვინის იმ უჯრედებს ააქტიურებს, რომელიც უამრავი მძიმე დაავადების დამარცხებას უწყობს ხელს და ტვინის სტიმულირებას ახდენს. კვლევაში ის ხანდაზმული ადამიანები მონაწილეობდნენ, რომელთაც მეხსიერების პრობლემები ჰქონდათ. ჯეფერსონის უნივერსიტეტის პროფესორი, ენდრიუ ნიუბერგი მათ 8 კვირის განმავლობაში, დღეში 12 წუთით, ლოცვის პროცესში აკვირდებოდა. შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა და მეცნიერს დასკვნების გაკეთების საშუალება მისცა – ნიუბერგის მტკიცებით, ტვინს სტრუქტურული ცვლილების უნარი აქვს, რაც ადასტურებს, რომ ყველა დაავადების განკურნება შესაძლებელია. კიდევ ერთი ექსპერიმენტის შედეგად, რომელიც ფლორიდაში, სიმსივნის კვლევით ცენტრში ჩატარდა, სწავლულებმა დაადგინეს, რომ კვლევაში მონაწილე 40 ათასი პაციენტიდან განსაკუთრებით მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა, რომლებიც რეგულარულად ლოცულობდნენ.

რომელი პროდუქტები იწვევენ უძილობას

ძილის სურვილი შეიძლება გაგიქრეთ, თუკი თქვენს რაციონში ბევრი ისეთი პროდუქტია, რომლებიც რაფინირებულ ნახშირწყლებს შეიცავენ, _ განაცხადეს სწავლულებმა კოლუმბიის უნივერიტეტიდან. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ასეთი ნახშირწყლების რეგულარული მოხმარება, მაგალითად, ნამცხვრების, თეთრი პურის, კარტოფილისა და ბრინჯის, სისხლში შაქრის დონის მომატებას იწვევს. როცა შაქრის დონე სწრაფად იზრდება, ამაზე ორგანიზმი რეაგირებს და ინსულინს გამოყოფს. შედეგად, შაქრის დონის დაქვეითებამ, შეიძლება, ჰორმონების გამოტყორცნა გამოიწვიოს, როგორიცაა კორტიზოლი და ადრენალინი. ეს ჰორმონები ძილის დარღვევას იწვევენ. ამ დასკვნების გასაკეთებლად, მკვლევარებმა 50-ათასზე მეტი მანდილოსნის მონაცემები გააანალიზეს. სწავლულები იმედოვნებენ, რომ კვლევების შედეგები მედიკოსებს დაეხმარება, ხელმისაწვდომი და ეფექტური მეთოდები მოძებნონ პაციენტების უძილობისგან განსაკურნავად.

ნაპრძალში ნაძვის ხეების მოჭრის უფლება მისცეს

ნიდერლანდებში მდებარე ერთ-ერთი ეროვნული პარკის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ტერიტორია ზედმეტი წიწვოვნებისგან აქციით გაათავისუფლოს. აქციის ფარგლებში, ნებისმიერ მსურველს შეუძლია პარკში მოჭრას საშობაო ნაძვის ხე, უფრო სწორად ფიჭვი, თანაც აბსოლუტურად უფასოდ. პირობა კი მხოლოდ ერთია – ერთ ადამიანს მხოლოდ ერთი ფიჭვის წაღება შეუძლია. აღსანიშნავია, რომ ამ მაცდუნებელ წინადადებას უკვე გამოეხმაურა ასობით ოჯახი. ადგილობრივი რეინჯერების განცხადებით, ასეთი აქციის ჩატარება საჭირო იმის გამო გახდა, რომ იმ მონაკვეთზე, სადაც წიწვოვნების მოჭრის ნება გასცეს, იშვიათი სახეობები, წითელ წიგნში შეტანილი ცხოველები ბინადრობენ. ტერიტორიაზე სტიქიურად ხეების გავრცელებით, ეს იშვიათი ჯიშები ქრება.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 38 ᲬᲔᲚᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲪᲝᲪᲮᲚᲝᲑᲓᲔᲡ?

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ პირობებში, 38 წელს შეადგენს, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ავსტრალიის ნაციონალური სამეცნიერო სააგენტოს სწავლულები. მათ შეიმუშავეს „საათის“ გენეტიკური მოდელი, რომელსაც შეუძლია შეაფასოს სოცოცხლის მაქსიმალური ხანგრძლივობა სხვადასხვა ხერხემლიანების, როგორც ცოცხალი სახეობების, ასევე, გადაშენებულების. მკვლევარებმა შემდეგ გააანალიზეს 250-ზე მეტი სახეობის მონაცემები, რათა 42 გენის იდენტიფიცირება მოეხდინათ. სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ მაგალითად, გრენლანდიურ ვეშაპს შეუძლია 268 წლამდე იცოცხლოს, რაც 60 წლით მეტია, ვიდრე ადრე მიიჩნევდნენ. ადამიანის გენომის გამოყენებით კი, სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ მისი სიცოცხლის მაქსიმალური ბუნებრივი ხანგრძლივობა, სულ რაღაც, 38 წელია. უფრო ხანგრძლივ სიცოცხლეს ადამიანი მეცნიერებისა და მედიცინის განვითარებას უნდა უმადლოდეს.

ᲪᲣᲓᲘ ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲘ ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲡ „ᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲑᲡ“

ცუდი სიზმრები ადამიანს ნერვული სისტემის „გავარჯიშებაში“ ეხმარება, – ამის შესახებ ჟენევის უნივერსიტეტის სწავლულებმა განაცხადეს. სპეციალისტებმა ექსპერიმენტი ათობით მოხალისეზე ჩაატარეს. ელექტროენცეფალოგრამის მეშვეობით, ტვინის სხვადასხვა უბნის აქტივობა გამოთვალეს. აღმოჩნდა, რომ სიზმარში შიშის შეგრძნებაზე პასუხისმგებელია უბანი, რომელიც გავლენას ახდენს გაღვიძებისას ემოციების შეფასებაზე და სისტემატურად აქტიურდება შიშის შეგრძნებისას. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ცუდი სიზმრები ადამიანის ნერვულ სისტემას რეალურ ცხოვრებაში შესაძლო სტრესულ სიტუაციებზე რეაგირებისთვის ამზადებს.

ᲜᲐᲫᲕᲘᲡ ᲮᲔ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡᲐᲐ

გერმანიის მცხოვრებმა, ტომას იერომინმა საკუთარი სახლი, რომლის ფართიც 100 კვადრატული მეტრია, 350 ნაძვის ხით გალამაზა. მამაკაცი აპირებს, რომ ამ მხრივ გინესის რეკორდების წიგნში შევიდეს. ხელოვნური ნაძვის ხეების კოლექციონერობა ტომასმა 8 წლის წინ დაიწყო, როცა სახლში დადგმულ საშობაო ხეს კიდევ ერთი დაამატა, მერე კი უკვე გაჩერება ვეღარ შეძლო. ნაძვის ხეების ასეთი რაოდენობა, თან სათამაშოებით მორთული, მსოფლიოში ჯერ არავის აქვს, თუმცა მამაკაცმა ჯერჯერობით მიზანს ვერ მიაღწია – გინესის რეკორდების წიგნში ვერ მოხვდა. იერომინის კოლექციის ღირებულება 20-25 ათას ევროს შეადგენს, თუმცა ის გაჩერებას არ აპირებს და მომავალში კიდევ 150 ნაძვის ხის დადგმას გეგმავს.

ᲤᲐᲡᲢᲤᲣᲓᲘ ᲘᲛᲣᲜᲣᲠ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡ ᲐᲜᲒᲠᲔᲕᲡ

გერმანელი სწავლულების მიერ ჩატარებულმა ახალმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ „ფასტფუდი“ ნეგატიურად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და მისი იმუნური სისტემის მუშაობას არღვევს. ბონის უნივერსიტეტის ექსპერტების თქმით, იმუნური სისტემა ისევე რეაგირებს მაღალკალორიულ და დიდი რაოდენობით ცხიმის შემცველ მავნე პროდუქტებზე, როგორც ბაქტერიულ ინფექციებზე და ორგანიზმის დაცვას ააქტიურებს. ერთი შეხედვით, თითქოს, ეს კარგია, მაგრამ გამუდმებით ასეთი დაძაბული მდგომარეობა იწვევს ანთებას, რაც შესაძლოა, ისეთი დაავადებების განვითარების მიზეზი გახდეს, როგორიცაა დიაბეტი და ათეროსკლეროზი. გარდა ამისა, იმუნური სისტემა მაშინაც კი აგრძელებს ანალოგიურად მოქმედებას, როცა ადამიანი კვების ჯანსაღ რაციონზე გადადის. ეს იმას უკავშირდება, რომ თანდაყოლილ სისტემას თავისებური მეხსიერება აქვს.

ალკოჰოლურ სუპს ყიდიან

კვების პროდუქტებისა და სასმელების მწარმოებელმა იაპონურმა კომპანიამ Mitsubishi Shokuhin უჩვეულო, ზამთრის სუსხში გამათბობელი სუპი შექმნა, რომელშიც ალკოჰოლია დამატებული. სიახლე, სახელწოდებით Nihonshu No Dashiwari, ტრადიციული იაპონური ბულიონის – დასის და სასმელის – საკეს კომბინაციას წარმოადგენს. დასის ამზადებენ ლამინარიის, სკუმბრიასა და სოიოს სოუსით. სუპი ერთჯერად ჭიქებში ჩამოსხმული იყიდება, რომლის გაცხელებაც მიკროტალღურ ღუმელშია შესაძლებელი. ამ შემთხვევაშიც კი, სუპი, საკესთან ერთად, მაინც ინარჩუნებს ალკოჰოლის 4%-იან შემცველობას. ამ გამათბობელი საკვების ღირებულება 198 იენია (1.90 დოლარი).

დიეტური გაზიანი სასმელი ყველაზე მავნეა

ამერიკელმა კარდიოლოგებმა ადამიანის სხეულისთვის ყველაზე მავნე საკვები პროდუქტი გამოავლინეს – ეს დიეტური გაზიანი სასმელია. ამ პროდუქტმა, რომელიც შაქრის შემცვლელებს შეიცავს, ამერიკის გულის ასოციაციის ექიმების ყურადღება მიიპყრო. ისინი ამბობენ, რომ ეს სასმელი აუცილებლად უნდა ამოვიღოთ კვების რაციონიდან, რადგან დიეტური „გაზიროვკა“ საკმაოდ ზრდის ინსულტისა და ჭკუასუსტობის განვითარების რისკებს.

კარდიოლოგების თქმით, დღის განმავლობაში, ამ „უშაქრო“ სასმელის თუნდაც ერთი ქილის დალევით, ადამიანი სამჯერ ზრდის ინსულტისა და 2.9-ჯერ გონებასუსტობის განვითარების რისკებს. ცნობილია, რომ დიეტურ სასმელებში, შაქრის ნაცვლად, ხელოვნურ დამატკბობლებს, მაგალითად, ასპარტამს იყენებენ. ადამიანის სხეულში, ეს ნაერთი იშლება ფენილალანინილად, ასპარტამის მჟავად და მეთანოლად, რომლებიც ტოქსიკურია ორგანიზმისთვის. გარდა ამისა, შესაძლოა, ასპარტამი დაგროვდეს თავის ტვინში და ნეირონების ანომალიური აქტიურობა გამოიწვიოს.

მობილურ ტელეფონებს მუზეუმი გაუხსნეს

იდეის ავტორები ბრიტანელი კოლექციონერები – ბენ ვუდი და მეტ ჩატერლი არიან. ონლაინ-მუზეუმის დამფუძნებლები ექსპონატებს საჩუქრად იღებენ, მათ ფოტოებს უღებენ, კატალოგში ამატებენ და შემდეგ უსაფრთხო საცავში აგზავნიან. კოლექცია თითქმის ყოველდღიურად ივსება, თითეული გამჩუქებელი კი მითითებულია საიტზე.

ტელეფონების ონლაინ-მუზეუმში, შეგილიათ ნახოთ თქვენთვის საინტერესო მოწყობილობა, დაათვალიეროთ მისი ფოტოები მაღალი ხარისხით, გაიგოთ მისი შექმნის ისტორია და მახასიათებლები. მობილურები რამდენიმე კატეგორიადაა დაყოფილი – „ყველაზე პირველი მოდელები“, „ყველაზე გაყიდვადი“, „ყველაზე მახინჯები“, „ტელეფონები ფილმებიდან“, „ჯეიმს ბონდის ტელეფონები“, „იაპონურები“, „მდიდრულები“ და „მოდური ტელეფონები“.

დედამიწას „შავი ყუთი“ ექნება

„მწვანე კონტინენტზე“, კუნძულ ტასმანიაზე, დედამიწის „შავ ყუთს“ დადგამენ. პროექტი წარმოადგენს ფოლადის კონსტრუქციას, რომელსაც მალე მყარი დისკებით აავსებენ. მათზე ჩაიწერება ინფორმაცია და სამეცნიერო მონაცემები დედამიწის პრობლემების შესახებ. ინფორმაციის შემნახველებზე ჩაწერენ ცნობებს კლიმატის ცვლილების, სახეობების გადაშენების, გარემოს დაბინძურების შესახებ. მონაცემებს მოათავსებენ კონსტრუქციაში, რომელიც მომავალი თაობებისთვის ერთგვარი არქივი იქნება. თუ კარდინალურად არ შევცვლით ცხოვრების წესს, კლიმატის ცვლილება და სხვა საფრთხეები ჩვენი ცივილიზაციის კრახს გამოიწვევს. დედამიწის შავი ყუთი, ამ კატასტროფის გზაზე, ჩვენს თითოეულ ნაბიჯს ჩაიწერს, – ნათქვამია პროექტის საიტზე.

მერკელმა ყველაზე გავლენიანის ტიტული დათმო

მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ქალთა რეიტინგში, 11 წლის შემდეგ პირველად, ლიდერი შეიცვალა. 2011 წლიდან, ამ სიას სათავეში ანგელა მერკელი ედგა, რომელმაც გერმანიის კანცლერის პოსტი ახლახანს დატოვა. ჟურნალ „ფორბსის“ ვერსიით, მე-18, ყოველწლიურ 100-კაციან სიაში შედის 40 გენერალური დირექტორი, 19 მსოფლიო ლიდერი, იმუნოლოგი და სხვა.

წელს, გავლენიან ქალთა მსოფლიო რეიტინგს სათავეში ჩაუდგა მწერალი მაკენზი სკოტი, რომელიც Amazon-ის დამფუძნებლის, ჯეფ ბეზოსის ყოფილი ცოლია. უმდიდრეს ქალებს შორის, ის მესამე ადგილზეა. ის ფაქტი, რომ სკოტს უპრობლემოდ მიუწვდება ხელი ამ ფულზე და მის დიდ ნაწილს ქველმოქმედებაში ხარჯავს, კონკურენტებზე მაღლა აყენებს, – აღნიშავს გამოცემა. სიის მეორე ნომერი აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა, კამალა ჰარისმა დაიკავა, მესამეზეა ევროპის ცენტრალური ბანკის მეთაური, კრისტინ ლაგარდი.

ხუთეულის საფეხურზე, მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა General Motors-ის გენერალური დირექტორი, მერი ბარა, ხოლო მეხუთეზე – ბილ გეითსის ყოფილი მეუღლე, მელინდა ფრენჩ გეიტსია. გავლენიან ქალთა ათეულში შედიან, ასევე, კომპანია Fidelity Investment-ის პრეზიდენტი, მილიარდერი ებიგეილ ჯონსონი, ესპანელი ბანკირი ანა პატრისია ბოტინი, ევროკომისიის მეთაური ურსულა ფონ დერ ლიაენი, ტაივანელი პოლიტიკოსი ცაი ინვენი და კომპანია Accenture-ის გენერალური დირექტორი, ჯული სვიტი. რეიტინგში მოხვდნენ, აგრეთვე, ოპრა უინფრი, რიზ უიზერსპუნი, რიანა, ბიონსე და ტაილორ სვიფტი, დედოფალი ელისაბედ II, ფინეთის პრემიერი სანა მარინი და ჩოგბურთელი სერენა უილიამსი.

განდეგილებს რობოტებს დაურიგებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში, სწრაფად იზრდება ჰიკიკომორის – იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც საკუთარი ნებით უარს ამბობენ სოციალურ ცხოვრებაზე და მუდმივად განმარტოებას ცდილობენ. ახალი რობოტი, რომელსაც OriHime უწოდეს, იმისთვის შეიქმნა, რომ ასეთ განდეგილებს სოციალური ურთიერთობა აუწყონ. მომხმარებელი რობოტის მართვას ტელეფონის აპლიკაციით შეძლებს, რისი წყალობითაც, სახლიდან გაუსვლელად, გარე სამყაროს დაუკავშირდება.

რობოტი 25-სანტიმეტრიანია, თეთრი ფერისაა და მწვანე თვალები აქვს. აღჭურვილია ხელებით, რომლებსაც ლაპარაკისას ამოძრავებს. ამ „ჭკვიანი მანქანით“ ექსპერიმენტი, პირველად, კობეს პრეფექტურაში დაიწყეს – დამხმარე რობოტებს სოციალური იზოლაციის მსურველ ადამიანებს დაურიგებენ. ჰიკიკომორის რაოდენობის ზრდა იაპონიაში, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, როცა გაჩნდა კიდეც ეს ტერმინი. ამ პრობლემამ ახლა, პანდემიის ფონზე, კვლავ იჩინა თავი – გაიზარდა თვითმკვლელობებისა და ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების რიცხვი.

საკუთარი და გაიჩინა

შოტლანდიის ქალაქ ინვერნესში მცხოვრებმა ახალგაზრდა ქალმა საკუთარ დედას შვილი გაუჩინა. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, 25 წლის ჰოლი სამერსმა გადაწყვიტა, დახმარებოდა დედას – ფეის, რომელმაც 51 წლის ასაკში, ახალი ქმრისგან შვილის ყოლა გადაწყვიტა. პრობლემა კი ის იყო, რომ დედა სტერილიზებული იყო. ჰოლი კვერცხუჯრედის დონორი და ასევე, სუროგატი დედა გახდა. შედეგად, ამ ქვეყანას მოევლინა გოგონა უილოუ. ბედნიერი ფეი აცხადებს, რომ ასეთი საქციელის გამო, უზომოდ მადლიერია ქალიშვილის. როცა უილოუ გაიზრდება, ის აუცილებლად შეიტყობს საკუთარი წარმოშობის შესახებ, – ამბობს ჰოლის დედა.

სარფიანი პროფესია – ნაძვის ხის მომრთველი

თურმე, ასეთი პროფესიაც არსებობს და ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, ამ საქმეში ბობ პრანგაა – საშობაო ნაძვის ხეების სტილისტი. 30 წლის წინათ, საშობაო არდადეგებზე, ბობი ერთ-ერთ მაღაზიაში დროებით მუშაობდა. მასთან ცნობილი მსახიობი მივიდა და სთხოვა, მოეძებნა ადამიანი, ვინც მას ნაძვის ხეს მოურთავდა. ბობმა ეს საქმე საკუთარ თავზე აიღო და საბოლოოდ, გაუმართლა კიდეც. 1984 წელს, საქმიან პარტნიორთან ერთად, შექმნა კომპანია Dr. Christmas. მისი ერთ-ერთი პირველი კლიენტი კეტი ჰილტონი იყო – მსახიობი და დიზაინერი, რომელმაც პრანგა ლოს-ანჯელესის ბომონდს გააცნო. მას შემდეგ, ბობს დღესასწაულისთვის ჰოლივუდის უამრავი ვარსკვლავის ნაძვის ხე მოურთავს. მისი მომსახურება 2.5 ათასიდან 80 ათას დოლარს აღწევს. ბობის უპირატესობა ისიცაა, რომ მისი კომპანია საკუთარ თავზე იღებს საახალწლო დეკორაციის დემონტაჟსაც და მუშაობს არა მხოლოდ ვარსკვლავებთან, არამედ, ჩვეულებრივ კორპორატიულ კლიენტებთანაც.

ყველაზე ძვირი ქალაქი თელ-ავივია

ისრაელის დედაქალაქმა, პარიზსა და ჰონგ-კონგს ფასებით გადაასწრო და 2021 წელს, ცხოვრებისთვის ყველაზე ძვირ ქალაქად იქცა მსოფლიოში. კვლევაში – Worldwide Cost Of Living 2021, რომელიც ბრიტანულმა კომპანია Economist Group-მა ჩაატარა, 173 ქალაქი მონაწილეობდა. გასულ წელს, სიძვირის მიხედვით, თელ-ავივი რეიტინგში მეხუთე ადგილზე იყო პარიზის, ჰონგ-კონგის, ოსაკასა და ჟენევას შემდეგ. მისი ასეთი ნახტომი გამოწვეულია დოლარის მიმართ ადგილობრივი ფულის ერთეულის – შეკელის გაცვლითი კურსის ხანგრძლივი ზრდით, ასევე, კვების პროდუქტებისა და ტრანსპორტის გაძვირებით. პანდემიის დაწყებიდან, ისრაელის ვალუტა დოლართან მიმართებაში, თითქმის 10%-ით გამყარდა. ერთი თვის წინ, დოლარი 3.04 შეკელი ღირდა, რაც გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ, პირველად დაფიქსირდა.

უნივერსალური ვაქცინისთვის ანტისხეული აღმოაჩინეს



ჩინელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს მონოკლონალური ანტისხეული 35 B5, რომელსაც შეუძლია ეფექტურად გაანეიტრალოს COVID -19-ის შტამები. მკვლევართა თქმით, ის შეიძლება უნივერსალური ვაქცინის საფუძვლად გამოიყენონ. მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ეს ანტისხეული ზემოქმედებს ვირუსის იმ უნიკალურ ნაწილზე, რომელიც მუტაციის პროცესში არ იცვლება. ეს თვისება, სწავლულთა აზრით, შესაძლებლობას იძლევა, ანტისხეული სხვადასხვა შტამის საწინააღმდეგო უნივერსალური ვაქცინის შესაქმნელად გამოიყენონ. მონოკლონალური ანტისხეული 35 B5, სპეციალისტებმა ადამიანის სისხლიდან მიიღეს, რომელსაც კორონავირუსის მძიმე ფორმა ჰქონდა გადატანილი. ვარაუდობენ, რომ ის, ცოტა ხნის წინ აღმოჩენილ შტამს – „ომიკრონსაც“ გაანეიტრალებს.

ენაბორძიკობისთვის კომპენსაციას ითხოვს

ბრიტანელი სამხედრო ჩილეშე მვამბა, ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს უჩივის ესტონეთში, ნატოს მისიაში მივლინების გამო, რომლის შემდეგაც მას პოსტტრავმული სტრესული აშლილობა და ენაბორძიკობა დაუდგინდა. მოსარჩელე სამინისტროსგან 860 ათასი გირვანქა სტერლინგის (1.1 მილიონი დოლარი) კომპენსაციას ითხოვს. მისი თქმით, ამ ტრავმებმა ცხოვრების წესი შეუცვალა და ხელი შეუშალა კარიერულ პერსპექტივებში.

31 წლის სამხედრო, ესტონეთში 2017 წელს, სამეფო ინჟინრების კორპუსთან – ბრიტანული არმიის ერთ-ერთ ყველაზე ელიტურ დანაყოფთან ერთად გაემგზავრა. მივლინება 10 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე გაგრძელდა. ამ პერიოდს დაემთხვა რეგიონში ექსტრემალური სიცივეები, რის გამოც, მვამბამ ტრავმა მიიღო და ენაბორძიკობა დასჩემდა. თავდაცვის უწყება აღიარებს პასუხისმგებლობას სამხედროს გადაციებაზე, მაგრამ სამედიცინო მტკიცებულებას ითხოვს. საარქივო მონაცემებით, ესტონეთში იმ დროს ტემპერატურა -4 გრადუსზე ქვემოთ არ ჩამოსულა. ამ საქმეზე სასამართლო სხდომები მომავალ წელს უნდა გაიმართოს.

ეკო-პლასტმასა შექმნეს

ჩინელმა სწავლულებმა ეკოლოგიურად სუფთა, უნიკალური პლასტმასი შექმნეს. ბიოდეგრადირებადი მასალა ორაგულის სპერმისა და მცენარეული ზეთისგან მზადდება. სპეციალისტებმა თევზის სპერმის დნმ-ის ორი მოკლე ჯაჭვისა და ზეთისგან დამზადებული ქიმიკატის შერწყმა შეძლეს. ამ შემთხვევაში, მცენარეული ზეთი ერთგვარი „წებოს“ როლს ასრულებს. ამ კომბინაციის შედეგად, სწავლულებმა რბილი კონსისტენციის მასალა მიიღეს, რომელიც ჰიდროგელს წარმოადგენს. ამის შემდეგ, გელი ფორმებში იდება და იყინება. ეს ხელს უწყობს პლასტმასისგან ზედმეტი ტენიანობის მოცილებას. გაგრილების შემდეგ მიღებული მასალა პლასტმასის კონსისტენციას იღებს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.